140
1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12
1968



# პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეკემბრის ფერები

დილარ ივარდავა



ხმელი ფოთლები ირევიან
და ქარი ღობეებს ართავს,—
მთას გადმომდგარი ირემია,
ასე რომ ეძახის ზამთარს.

აქ ფერი წითელი, ყვითელი
ზიმზიმებს, ციალებს, კრთება;
მთვარე ჰგავს
მოხრილ მშვილდს სკვითების
და... მიწას სხივს აფენს თმებად.

თანდათან მზემაც 'უკლო სითბოს,
გაქრა ბაღების სურნელი;
შენ,
მთებზე მოელვარე ფიფქო,
გახდები მინდვრის მსურველიც.

ჰაერში ჩუმად ირკალება
რუხი ღრუბლების ზვინები
და ზოგჯერ თეთრად იკვალება
დეკემბრის ცივი წვიმები.

ეს ნიშნავს:
ძალაობს ზამთარი
და გაძარცვული მუხნარი
აივსება თოფის ჭახანით,
ნადირს დღე ექნება მწუხარე...

ჩუქურთმასავით ნატიფია
მდინარე,
ადრე—მღელვარე,
ნისლი კი, თითქოს სათიბია,
შრიალით ეკვრის მწვერვალებს.

ქარი კი,
ისე, ვით მესტვირე,
ჰანგს ჰანგზე მძაფრად ართავს,—
მცივანებმა ზეცას შესტირეს:
— რა გვეშველებაო ზამთარს!

იანვრის ზარების სითეთრე,
მთებზე რომ გულდინჯად მღერის,
ბარშიაც სულ მალე იფეთქებს
ტყემლების ყვავილთა ფერით.

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თერგი ღრიალებს

10.663

ძნელია წარმოიდგინო საქართველოს მთიანეთი მთელი თავისი ლამაზი სიამაყით, თვალჩაუწვდენი ხევებითა და ნაპრალებით, ჩქარი და შეუპოვარი მდინარეებით, გაუვალი და ხასხასა მწვანით დაფარული იალაღებით ისე, რომ მის კალთებზე გონების თვალით არ დაინახო თეთრად გადაპენტილი ცხვარი, ცხვარი, რომელიც იყო და არის მთიანეთის შვილის სარჩო, იმედი, სიხარული, დარდი და, ერთი სიტყვით, ყველაფერი.

ყოველ გაზაფხულზე, იგრძნობა თუ არა მთაში სითბო, ზამთრის საძოვრებიდან აიშლება მთის ბარაქა — ცხვარი და ბღავილითა და კუნტრუშით ალპური საძოვრებისაკენ გამოსწევს.

წლეულსაც ასე იყო.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

12 · დეკემბერი · 1968

გამოცემის 42-ე წელი

ყაზბეგის რაიონის ნაზამთრი ცხვარი ღუნჭიანის ფერდობებზე გაიშალა. თანდათან ახლოვდებოდა ზაფხული. სულ უფრო და უფრო უკრთებოდათ მოსვენება ყაზბეგის საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეებს. მათაც სურდათ თავიანთი წვლილი შეეტანათ დიდ სახალხო საქმეში, დახმარებოდნენ სახელმოხვეჭილ მწყემსებსა და სარქლებს ცხვრის მოვლა-პატრონობაში...

— ესეც ასე! ჩავაბარე უკანასკნელი გამოცდა, უკვე მეშვიდეკლასელი ვარ. ნუთუ წლეულსაც უარს მეტყვის მამა ცხვარში წაყვანაზე? ოო, რომ იცოდეს, როგორ მიმიწევს გული მთაში. — ფიქრობდა იმ დღეს ავთანდილ ქუშაშვილი და გერგეტის წვერს თვალს არ აშორებდა. — თოვლმა საგრძნობლად აიწია, აღარც თერგი შფოთავს და ღრიალებს ისე, თოვლის დნობისას რომ იცის ხოლმე. ალბათ ღუნჭიანშიც სიმშვიდეა ახლა... ეჰ, ნეტავ უარი არ მითხრას... არა, მაინც რატომ დაუგვიანდა ასე, პურისა და მარილის მარაგი მაინც აღარ გამოელიათ?

— ეჰეი, ავთანდილ! — უცებ ჩაესმა ფიქრებში წასულ ყმაწვილს ცხენის ფლოქვებისა და მამის ხმა. — აგრე რამ ჩაგაფიქრა? აბა, ცხენს მოხედე, მე გამგეობაში მივირბენ, ვინძლო არ გამასწროს საწყობის გამგემ. ცხორს მარილი მოაკლდა.

ავთანდილი ფიცხლად წამოხტა, ცხენს უნაგირი მოხადა, სადავე მოუშვა, გაოფლილი თეთრონი გაატარ-გამოატარა, მერე თივა დაუყარა და გურამ ქუშაშვილთან გაიქცა. სულმოუთქმელად ახარა მამის ჩამოსვლა და, — ჩემსა წამოდი, ერთად ვთხოვოთ ცხვარში წაყვანაო — უთხრა.

იმ საღამოს, როცა მამა გამგეობიდან დაბრუნდა და ყველანი სავახშმოდ დასხდნენ, ავთანდილმა კრძალვით გაანდო თავისი გულისნადები მამას. ქარითა და მზით სახეგარუჯული მწყემსი დიდხანს დუმდა. მერე ნაძალადევი სიმკაცრით გადახედა შვილს და უთხრა:

— იყუჩე, ბალღო, მთაჩი რაი გინდა, იქ საშიშია. შენ ჯერ პატარა ხარ.

ამ უკანასკნელი სიტყვებით განაწყენებულ ავთანდილს ლუკმა ყელში გაეჩხირა და ჩუმი მზერა გურამისკენ გააპარა, — შენ რა აზრისა ხარო.

მამამ იმ წამსვე შენიშნა შვილის გაბუტვა. მართლაცდა, რაღა პატარები არიან, მეც ხომ მაგათი ხნისა ვიყავი, როცა პირველად წაველი ცხვარშიო, —



ცხვრის პარსვა იოლი საქმე როდია, მაგრამ ელგუჯა ალიბეგაშვილი მალე ისე დაოსტატდა, რომ მის ნამუშევარს წუნს ვერ დასდებდით.

გაიფიქრა და მერე დაყვავებით უთხრა ბიჭებს:

— ჰო, კარგი, გასწით, დაიძინეთ და დილაზე, უთენია გავუყვეთ გზას.

უნდა გენახათ ბიჭების სიხარული, სწრაფად წამოხტნენ ზეზე და დილისათვის თადარიგს შეუდგნენ.

მზე ჯერ კიდევ კარგად არც კი იყო ამოსული, როცა ბიჭებმა ზურგჩანთები მოიგდეს მხრებზე და მამასთან ერთად ცხვარში წავიდნენ.

უკვე საღამოვდებოდა, როცა ახალბედა მწყემსები თეოზე მივიდნენ. ცხენების თქარა-თქურზე ძაღლები წამოიშალნენ, მაგრამ რაკი თავისიანები იცნეს, მხიარული წკმუტუნით და კუდის ქნევით მიეგებნენ მოსულებს.

— ბიჭიავ, ეგ ბალღები რათ წამოასხი, მაგათ მოვუაროთ თუ ცხორს? — ხუმრობდნენ გამოცდილი მწყემსები და თან მადლიერი თვალებით შესცქეროდნენ ბიჭებს, — მაშველი მოგვივიდაო.

ბიჭებს პირველად გაუჭირდათ, მაგრამ ხომ არ გაამხელდნენ. ღამეს, ღია ცის ქვეშ, ნაბადში გახვეულნი ათენებდნენ, შესცქეროდნენ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და ოცნებობდნენ ნამდვილ სარქლობაზე. განთიადისას კერიას გააღვივებდნენ, ხელპირს დაიბანდნენ და ცხელ-ცხელ საუზმეს მიირთმევდნენ. მერე გუდაში საგზალს ჩაილაგებდნენ და ღამენათევ ცხვარს წამოუვლიდნენ. ღუნჭიანისა და წითელძირის ფერდობებზე გაშლიდნენ ფარას და მერე ყველა თავ-თავის ადგილზე დგებოდა.

„ცხვრის სამწყემსავად მორიგეობით დავდიოდით, — იგონებს ავთანდილი, — ყოველ მეათე დღეს ვიცვლებოდით. როცა პური და მარილი შემოგვაკლდებოდა, დავიჭერდი ჩემს თეთრონს და ყაზბეგში დავეშვებოდი ხოლმე. გზა გრძელი იყო და შორი. შვიდ-რვა საათს ვუნდებოდი მგზავრობას.

ერთხელ, საღამოს, ცხვარი რომ დავაბინავეთ და ვახშამსაც მოვრჩით, ის იყო დასაძინებლად გავშალეთ ნაბდები და უცებ, საშინლად აბღავლდა ცხვარი, ყველაფერი აირია, ატყდა ძაღლების ყეფა და გნიასი. ნადირა ქუშაშვილმა თოფს წამოავლო ხელი და ძაღლებს მიჰყვა. თურმე ნუ იტყვით, ფარეხს დათვი დასცემოდა და ცხვრის გატაცებას ლამობდა. ჰოდა, აბა, მწყემსი რა მწყემსია, თუ ასეთ დროს არ იყოჩაღა, — დაუპატიჟებელ სტუმარს კუდით ქვა ასროლინეს, თოფები დაახალეს და ისიც იძულებული გახდა ტყისათვის მიეცა თავი.

ხშირად, ცხვარს ბალახი გაიტაცებდა ხოლმე, შეუმჩნევლად გაიშლებოდა დიდ ფართობზე და მამაც აღარ დააყოვნებდა:

— ჰაუ, ფარეხა! ჰაუ, ლომა! — და ნაგაზებმაც უკვე იცოდნენ, რაც უნდა გაეკეთებინათ: წამოუვლიდნენ გათამამებულ ცხვარს და რამდენიმე წუთში ერთად მოაქუჩებდნენ ყეფით, თითქოს ეუბნებოდნენ, — კმარა, თავს ნუ წაგვიდათო. იყო ხოლმე შემთხვევა, როცა თეოზე ადამიანისშვილი არ რჩებოდა, ყველანი საქმით იყვნენ გართულნი და მაშინ მამა ფარეხას, ან ლომას ეტყოდა, — წადი თეოზეო და ნაგაზიც ბრძანების შესასრულებლად გაეშურებოდა. ბიჭი იყო და, ვინმე მიჰკარებოდა თეოს. ფრთხილ ნაგაზს არაფერი არ გამოეპარებოდა.

ერთხელ, წითელძირზე საშინლად გაავდრდა. წამოვიდა თქეში და სეტყვა. მოვარდა წყალი და რამდენიმე ცხვარი წაგვართვა. მაშინვე შევკაზმეთ ხუთი ცხენი და საძებრად გავწიეთ. მხოლოდ მეორე დღეს ვიპოვნეთ მდინარის პირზე გამორიყული ცხვარი. ავკიდეთ ცხენებს და ისევ ფარაში მივიყვანეთ.

კოლმეურნეობის 2000 სულ ცხვარს ათი კაცი ვუდექით. მე და გურამი, რითაც შეგვეძლო, ვშველოდით მწყემსებს, ვეხმარებოდით წველაში, პარსვაში, ვდარაჯობდით ცხვარს. ჩვენც შეგვქონდა ჩვენი წვლილი სახალხო საქმეში“...

●

საზაფხულო არდადეგებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი, როცა სკოლაში ტელეფონი აწკრიალდა:

— ალო! სკოლაა? უფროს პიონერხელმძღვანელს სთხოვეთ.

— გისმენთ, ეს მე ვარ, გიგაური.

— გამარჯობათ, ნუნუ! სატყეოს დირექტორი გაწუხებთ...

— აა, გამარჯობათ, გამარჯობათ! — შეაწყვეტინა ნუნუმ. — გიორგი ბრძანდებით? რომ იცოდეთ, როგორ გელოდნენ ჩვენი სკოლის პიონერ-მოსწავლეები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოდა, ნერგები უკვე მზად არის. — ახლა გიორგი ფიცხელაურმა შეაწყვეტინა. — ვნახოთ როგორ იმარჯვებენ თქვენი ბიჭები...

ბიჭებმა კი ხართლაც იმარჯვეს, — წამოავლეს ხელი, ზოგმა ბარს, ზოგმა წერაქვს და ყაზბეგში შესასვლელ გზაზე გახურდა მუშაობა, რიგი ორმოს იღებდა, რიგი იმ ორმოში ნერგს რგავდა და რიგი წყალს უსხამდა ტირიფის ნორჩ ხეებს. რამდენიმე დღის დაუღალავმა მუშაობამ მშვენიერი ხეივანი შექმნა. ახლა გზის ორივე მხარეს ამაყად შრიალებს ათასი ძირი ტირიფის ხე. ისედაც ლამაზი შემოგარენი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა.

— ეს ყველაფერი კარგია და მოსაწონი, მაგრამ ის თუ იცით, რომ გერგეტელმა პიონერებმა ომში დაღუპულ თანასოფლელთა ხსოვნის პატივსაცემად სოფელში აგებული ობელისკის მშენებლობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს? — უთხრა ერთხელ თანატოლებს მარინე ხეთაგურმა.

— მერე რა? — შეაწყვეტინეს აქეთ-იქიდან. — გამწვანება ჩვენზე იყოს. ჩვენ ხომ უკვე გამოცდილი დეკორატორები ვართ. — ხუმრობით თქვა ტარიელ ქავთარაშვილმა და ყაზბეგელები იმავე დღეს ესტუმრნენ გერგეტელებს, თავიანთი მარჯვენა შესთავაზეს, იქაც ააშრიალეს დეკორატიული ნარგავები, გერგეტელებთან ერთად მშვენიერი ფოტო-სტენდი აღმართეს და ამით კიდევ ერთხელ სცეს პატივი შინმოუსვლელებს.

ბოლოს სახელდახელო შეკრება გამართეს, ვეებერთელა პიონერულ კოცონს შემოუსხდნენ და დიდ სამამულო ომში დაცემულთა საგმირო საქმეებზე ილაპარაკეს, მოიგონეს ძველი კომკავშირელებიც, სამოქალაქო ომის გმირებიც. დასასრულს სიტყვა აიღო ნუნუ ხეთაგურმა. მან დაწვრილებით უამბო და გააცნო თანატოლებს თავიანთი თანასოფლელის, ძველი კომკავშირელის, ამჟამად პენსიონერის ლიზა ხეთაგურის საინტერესო, შინაარსიანი ბიოგრაფია და მისი საგმირო საქმეები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში...

●

იმ დღესაც ფრთხილად შეიპარნენ მეშვიდეკლასელები ევა შადურის ეზოში. ყველა მათგანმა უკვე წინასწარ იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა და ამიტომ ხმაამოუღებლად შეუდგნენ იმდღევანდელი გეგმის შესრულებას. გიორგი სამქანაშვილმა კალათა მოიმარჯვა და ეზოში მიმობნეული ქვა-ღორღის შეგროვებას შეუდგა, მარინე ხეთაგურმა ცოცხი მოიმარჯვა, როინ საღინაძემ წალდს წამოავლო ხელი და ეკალბარდებს წამოუარა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც გაითვალისწინეს, მაგრამ მოულოდნელად როინ საღინაძემ გააფუჭა ყველაფერი; კალათში მოგროვილი ქვა-ღორღი ისეთი ხმაურით გადაყარა ყორის იქით, რომ ბებია ევამ კი არა, მეზობლებმაც გამოიხედეს გარეთ, — რა მოხდაო.

— უჰ, რა მოუხერხებელი ხარ როინ. — უსაყვედურეს ამხანაგებმა. — ასე რომ ხმაურობ, არ იცი რომ საქმეს გააფუჭებ? მართალია, უსინათლოები ვერაფერს ვერ ხედავენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი სმენა აქვთ, უბრალო ჩამიჩუმიც კი არ გამოეპარებათ.

ამასობაში ოთახის კარი გაიღო და სამოცდაათ წელს მიღწეული უსინათლო ბებია ევა ხელების ფათურით კიბის თავზე გადმოდგა.

— რომელი ხარ, რაი გინდა? — იკითხა მან და უსინათლო მზერა სივრცეს მიაპყრო.

ჩუმად ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა და ამიტომ გუგული გომიაშვილი წადგა წინ. — ჩვენა ვართ, ბებია ევა, — თემურელები.

— უი, თქვენ კი გაიხარეთ, შვილებო. — სახე გაებადრა მოხუცს. — თქვენ რომ არ მეხმარებოდეთ, რა მეშველება... ის შეშა რომელმა დამიჩეხეთ?

— როინმა! როინია მაგის ოსტატი. — გაისმა აქეთ-იქიდან.

— შენ კი დაგაცალა, შვილო, ღმერთმა. აბა, აქ მოდი!

დარცხვენილმა როინმა ახლა ამაყად ასწია თავი და ამხანაგებს გადახედა. — მაშ რა გეგონათო. მერე ბიჭებმა ეზო ეკალ-ბარდისა და ქვა-ღორღისაგან გაასუფთავეს, გოგოებმა ჯამ-ჭურჭელი დაუკრიალეს ბებიას, სარეცხიც გაურეცხეს და ოთახიც დაულაგეს...

●

საშინელი ავდარი იდგა. მოძალებული ქარი და სეტყვა გლეჯდა ყველაფერს. გაავებული თერგი წალეკვით იმუქრებოდა და უზარმაზარ ლოდებს კენჭებივით მოაგორებდა. ტეხილი ელვის ცივი შუქი კუნაპეტ ღამეს შუაზე ხლეჩდა...

— რა ღვთის წყრომაა! — შიშით თქვა ქალმა და ლოგინში გვერდი იცვალა.

— დედა, დედიკო, არა გძინავს? — გაუხარდა მერაბს და ოდნავ წამოიწია.

— ჰო, შვილო, არა მძინავს. რაი გინდა?

— წყალი მინდა. მეგონა გეძინა და... — აღარ დაამთავრა მერაბმა სიტყვა.

„ვაი შენ, ზეჩავო ჩემო თავო! განა ისეთი რა დავაშავე, რომ ასე ულმობლად ვიტანჯებით მეცა და ისიც!“ — გაიფიქრა დედამ და წამოდგა.

— როგორ გგონია, დილამდე არ გამოიდარებს? — ჰკითხა მერაბმა დედას, როცა წყალი დალია.

— აბა რა ვიცი, შვილო. — უთხრა დედამ და თავზე გადაუსვა ხელი.

— ეჰ, რომ არ გამოიდაროს, ხვალაც არ წამიყვანენ სკოლაში. — გულდაწყვეტით თქვა მერაბმა.

არც მეორე დღეს გამოიდარა. მართალია, წვიმა და სეტყვა აღარ უშენდა სახურავსა და მინებს, მაგრამ ქარი ისევ ზუზუნებდა და საშინლად ციოდა.

უფროსი პიონერხელმძღვანელი ნუნუ გიგაური და ზ. რუხაძის სახელობის რაზმეულის პიონერები კარგი მეგობრები არიან. ისინი ხშირად იკრიბებიან ერთად და ყაზბეგის აწმყოსა და მომავალზე საუბრობენ.



მერაბი გაუნძრევლად იწვა ლოგინში და თვალები ცრემლებით ჰქონდა ავსებული. „ნამდვილად აღარ მოვლენ ჩემს წასაყვანად“, — ნაღვლიანად ფიქრობდა დაბადებიდანვე სარეცელს მიჯაჭვული ბიჭი.

შუადღემ მოატანა. უცებ, მერაბ წიკლაურს კიბეზე პატარა ფეხების ბაკუნი შემოესმა. სიხარულით სახე გაებადრა, „ვენაცვალე, მაინც მოვიდნენო“. — გაიფიქრა მერაბმა და ამასობაში ოთახში მისი თანატოლებიც შემოცვივდნენ.

— უჰ, და, და, და, როგორ ცივა! არა, მაინც რა გადარეული ქარია! — ამბობდნენ ბიჭები და, როცა მერაბის თვალებში ცრემლი შენიშნეს, მიყუჩდნენ, მთლად გადაავიწყდათ ქარიცა და სიცივეც. უფრო ახლოს მივიდნენ საწოლთან:

— აბა რა ვქნათ, მერაბ, ჩვენი ბრალი ხომ არ არის, დღეს რომ ასეთი ამინდია. შევშინდით, — ვაითუ გაცივდესო და იმიტომ არ წაგიყვანეთ. სამაგიეროდ, შინ მოვედით, ყველაფერს გეტყვით, — რაში რა დავალება გვაქვს ხვალისათვის. საღამოზე ჩვენი კლასის დამრიგებელი ქეთევან ბურდულიც მოვა და გაკვეთილებს გამოგკითხავს, ხომ კარგად ისწავლე?

— როგორ არა... მოთხრობა კარგად ვიცი, რუსული საზეპიროც დავისწავლე არითმეტიკის მაგალითებიც გამოვიყვანე. აი, ნახეთ. — მერაბმა რვეული გაუწოდა მეგობრებს.

ბიჭებმა გულდასმით გადაათვალიერეს რვეული და, — ყოჩაღ, არცერთი შეცდომა არა გაქვს, „ხუთიანი“ განაღდებულია! — გაიხარეს თანაკლასელებმა. მერე საშინაო დავალებებიც გააცნეს, — აბა შენ იცი, როგორ ისწავლი. ხვალ კი, თუ გამოიდარა, უსათუოდ გამოგივლით სკოლაში წასაყვანადო, — უთხრეს და თავთავიანთ სახლებში წავიდნენ.

საღამოზე, კლასის დამრიგებელმაც მიაკითხა მერაბს, გაკვეთილები გამოჰკითხა, ნაწერი შეუმოწმა, არითმეტიკაში და ქართულში ხუთიანები დაუწერა. მერე ახალი აუხსნა და, აბა შენ იცი, როგორ იყოჩაღებო, — უთხრა. — თუ ასე კარგად ისწავლი, არც ამხანაგებს შეარცხვენ და არც შენ შეირცხვენ თავს, — მეოთხე კლასში წარმატებით გადახვალო. — შეაქო ქეთევან მასწავლებელმა მერაბი.

მეორე დღეს მშვენიერი დილა გათენდა, მეგობრებმაც შეასრულეს პირობა, მერაბს, აქეთ-იქიდან მხარში ამოუდგნენ და სკოლაში წაიყვანეს...

●

„— მთელი რაზმი შემდეგ კლასში!“ — ეს ლოზუნგი კარგად გაქვთ ჩაწერილი რაზმის დღიურში, მაგრამ ასრულებთ კი? — თქვა ერთხელ ნუნუ ხელმძღვანელმა.

— რატომაც არა?! — შეესიტყვნენ აქეთ-იქიდან მეექვსეკლასელები. — ჩვენ ხომ კარგად ვსწავლობთ.

— ჰმ, „კარგად ვსწავლობთ“. თქვენ კი კარგად სწავლობთ, მაგრამ ნოდარი, ლალი? ისინი რომ უკან ეწევიან რაზმის აკადემიურ მოსწრებას?!

— მერე და, ჩვენ რა შეგვიძლია? — დაიმორცხვეს პიონერებმა.

— ნამდვილი პიონერი ასეთ კითხვას არ იძლევა. ხომ გაგიგონიათ: „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“. ჰოდა, ლალისაც და ნოდარსაც...

— ვიცით, ვიცით! — შეაწყვეტინეს აქეთ-იქიდან. — არა, რატომ ჩვენ თითონ ვერ მოვიფიქრეთ? გვეკითხა მაინც. ნუთუ ნოდარს ასე გაუჭირდა გერმანულის დაძლევა?

— აქ არის ნოდარ ტუჩაშვილი? — იკითხა ხელმძღვანელმა.

— აქა ვარ, ნუნუ ხელმძღვანელო. — მორცხვად თქვა ნოდარმა.

— ყველა საგანს კარგად სწავლობ. — განაგრძო ნუნუმ. — ჰოდა, გერმანულში რაღა დაგემართა?

— არ მინდა!

— რა არ გინდა? — გაოცდა ხელმძღვანელი.

— გერმანული ფაშისტების ენაა. ფაშისტებმა კი ბევრი წუხილი და ტკივილი გვაგემეს... არ მინდა იმათი ენის სწავლა...

— არ არის სწორი გადაწყვეტილება! არა დაფიქრდი: გერმანულ ენაზე ლაპარაკობდნენ არა მარტო ფაშისტები. ეს არის მთელი გერმანელი ხალხის ენა, დიდი გოეთესა და შილერის ენა — უთხრა ხელმძღვანელმა.

ნოდარი გაოცებული უსმენდა მას და თან ბრაზობდა, — ეს როგორ ვერ მოვიფიქრეო.

— შენ რაღა მოგივიდა, ლალი სუჯაშვილო? — ახლა ლალის მიუბრუნდა ხელმძღვანელი, — ასე გაგიჭირდა რუსულის შესწავლა?

— რა ვქნა, ხელმძღვანელო, ვერ დავძლიე გრამატიკა და...

— ამ საქმეს ჩვენ თვითონ მოვუვლით. — თქვა რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ. — ნათელა ფიცხელაურმა კარგად იცის რუსული, იგი დაეხმარება ლალის. გელა სუჯაშვილი კი ნოდარს აიყვანს ბუქსირზე. ჰა, რას იტყვით, დაეხმარებით? — თავმჯდომარე ახლა გელას და ნათელას მიუბრუნდა;

—სიამოვნებით, თუ თვითონაც ისურვებენ. — ერთხმად მიუგეს მათ.

იმ დღიდან მოყოლებული სისტემატურმა მეცადინეობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ამხანაგების დახმარებით ნოდარ ტუჩაშვილმაცა და ლალი სუჯაშვილმაც დასძლიეს თავისი სუსტი მხარეები და მეშვიდე კლასშიც წარმატებით გადავიდნენ. ისინი ახლა კარგად სწავლობენ და ხშირად თვითონ ეხმარებიან სხვებს.

ასე ცხოვრობს და საქმიანობს ზოია რუხაძის სახელობის პიონერული რაზმეული. იქ, სადაც თერგი ღრიალებს.

**თემურ ცაგარელი.**
ფოტო ავტორისა.

ნოდარ ტუჩაშვილი გერმანულში მოიკოჭლებდა. მას მხარში ამოუდგა გელა სუჯაშვილი და ნოდარმაც მალე გამოასწორა თავისი ხარვეზი.



# საოცარი თეთრი ქვეყანა



**თამაზ გოდერძიშვილი**

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე.

მ ო თ ხ რ ო ბ ა

— ადე, ბიჭო, უკვე გათენდა; საცაა ზღვა გამოჩნდება. — უთხრა მამამ გიგას და თავზე ხელი გადაუსვა.

მატარებელი რკინიგზის ლიანდაგზე მირახრახებდა. კუპეში გრილოდა. გიგამ თვალები მოიფშვნიტა და წამოხტა.

— დაიხსომე დღევანდელი დღე, დღეს შენ პირველად ნახავ ზღვას. მალე გამოჩნდება შავი ზღვა. წადი, პირი დაიბანე. — მამამ პირსახოცი მიაწოდა.

გიგამ ფეხსაცმელში წაყო ფეხი და პირსაბანისაკენ გაეშურა.

კუპეში რომ დაბრუნდა, მამამ მხარზე ხელი მოჰხვია და ფანჯარაში გაახედა.

ზღვა საოცრად მწვანე და უძრავი იყო: მწვანე მინდორი, ძალიან ლამაზი მწვანე მინდორი — უყვავილებო, უბალახო, უტალღებო. ზღვა იყო მშვიდი, მშვიდი, გარინდული... ალაგ-ალაგ მოცისფრო თხელი ზოლები შერეოდა, ალაგ-ალაგ მუქი ლურჯი ლაქები აჩნდა. ნაპირი არ ჩანდა. შორს, ჰორიზონტთან, ზღვის მონაცრისფრო-მწვანე წყალი ცას უერთდებოდა. ცაში, ზღვიდან სულ რამდენიმე სანტიმეტრზე, დიახ, რამდენიმე სანტიმეტრზე (ყოველ შემთხვევაში, მატარებლიდან ასე ჩანდა) ერთ ადგილზე მიმაგრებული წითელი, უძლური მზე ანათებდა, მზის გარშემო ყველაფერი წითელი იყო: ცაც, ზღვაც, ღრუბლებიც. მზის სხივები სწორ ხაზებად ვრცელდებოდა და ნახევარი ცაში იკარგებოდა, ნახევარი კი — ზღვაში, სხივი ბოლოს ყვითელი ფერისა ხდებოდა. საკვირველი იყო: წითელი მზე ყვითელ სხივებს გზავნიდა აქეთ-იქით!

მერე შორს, თითქოს ზღვის გადაღმა, თეთრი გემი გამოჩნდა. პაწაწინა გემი უზარმაზარ ცასა და ზღვას შორის ნელ-ნელა მოძრაობდა და მზისკენ მიცურავდა. მზემ, თითქოს შეეშინდაო, მოძრავი საგანი რომ დაინახა, მაღლა აიწია ცაში და თანდათან გაყვითლდა. გემი ნელ-ნელა გაიზარდა.

მერე ზღვა მუქი ლურჯი ფერისა გახდა, ტალღებიც გაჩნდა. პატარა, ცელქი ტალღები ერთმანეთს ჯარისკაცებივით მოჰყვებოდნენ, სანაპიროზე კენჭებს აწვალებდნენ: დაჰკრავდნენ ღონიერ ტორს და ნაპირისაკენ გამორეკავდნენ, მერე, რომ დაწყნარდებოდნენ, უკან მიჰქონდათ ისევ.

გემი ნაპირისაკენ მოცურავდა და დინჯად უშვებდა კვამლს მსხვილი მილიდან, რომელზეც წითელი ზოლი იყო გავლებული. ანძაზე დროშა ფრიალებდა. წითელი დროშა ფრიალებდა, ირხეოდა, თრთოდა, ზოგჯერ თითქოს გაირინდებოდა, მერე ისევ შეირხეოდა და მოაპობდა ქარს.

მატარებელი გვირაბში შეძვრა და დაიკივლა. ვაგონში სინათლე აინთო. მამამ გიგას გადახედა. გიგა პირდაღებული იჯდა და ისევ ზღვაზე ფიქრობდა. როცა მატარებელი გვირაბიდან გამოვიდა, ზღვაზე უკვე თოლიები დაფრინავდნენ. თოლიები თოვლივით თეთრი და ქათქათა იყვნენ. გიგამ მოცურავეებიც დაინახა: ზოგი გაუნძრევლად იწვა ხის სპეციალურ საწოლზე, ზოგი ცურავდა და ლაღობდა ზღვაში, ზოგნიც იხდიდნენ ან იცვამდნენ ტანსაცმელს.

მატარებელი ისევ შეძვრა გვირაბში და ისევ დაიკივლა.

— მოვემზადოთ, ამ სადგურზე ჩავალთ. — თქვა მამამ.

მატარებელი გვირაბიდან რომ გამოვიდა, ზღვა აღარ ჩანდა. ზღვის მაგივრად მწვანეში ჩაფლული მთები იდგნენ.

— მამი, ზღვაზე წავალთ? — იკითხა გიგამ.

— არა, მანქანა გველოდება. დღესვე უნდა ავიდეთ მთაში.

მამამ დიდი ზურგჩანთა წამოიკიდა, გიგამ — პატარა. მამა წინ წავიდა, გიგა უკან გაჰყვა და ფეხი აუწყო.

— უკან რომ დავბრუნდებით, მაშინ წაგიყვან ზღვაზე. თუ გინდა რამდენიმე დღეც დავრჩეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ძალიან მინდა.

— მერე, ხომ იცი, ყველაფერი შენზეა დამოკიდებული!

— ვიცი.

— ცურვასაც გასწავლი.

— ჯერ მთაში სიარული უნდა ვისწავლო.

— ყველაფერი შენზეა დამოკიდებული.

— ალპინისტი გავხდები!

— შენ იცი.

მამამ ხის დიდი ალაყაფის კარი შეაღო და უზარმაზარ ეზოში შევიდა. ეზოში ერთმწკრივად იდგა ტრაქტორები, ბულდოზერები, საბარგო მანქანები. ერთ მხარეს გრძელი მილები ელაგა, მეორე მხარეს — რკინის კასრები. მუშებს თავსა და ზურგზე რაღაც თეთრი ნაჭრები ეფარათ და ფქვილით სავსე ტომრებს საწყობიდან მანქანისაკენ ეზიდებოდნენ.

— უფროსს გაუმარჯოს! — მიესალმა სატვირთო მანქანის მძღოლი გიგას მამას.

— გაგიმარჯოს! გამარჯობათ, ბიჭებო! — მიესალმა მამა დანარჩენებსაც.

— თქვენი ბიჭია? — იკითხა მძღოლმა.

— დიახ. ეს გახლავთ გიგა!

გიგამ ჯიბიდან ხელები ამოიღო და უფროსებს წარუდგა, მერე ზურგჩანთა მოიხსნა.

— ჩვენთან მოდის? — ისევ იკითხა მძღოლმა.

— ჰო.

— გეოლოგი უნდა რომ გახდეს?

— არა, მე ალპინისტი უნდა გავხდე. — თქვა დაბეჯითებით გიგამ.

— ყოჩაღ! — გაიღიმა მძღოლმა, — მე რო შენხელა ვიყავი, მინდოდა მეხანძრე გამოვსულიყავი. მერე ხელი ავიღე ამ ხელობაზე და ტანკისტი გამოვედი.

— ომში იყავით? — შეეკითხა გიგა.

— ჰო, ჯერ სადა ხარ?! ისეთ ამბებს მოგიყვები, რომ...

— ფრონტზე იყავით?

— არა გჯერა? აი! — მძღოლმა საკინძე შეიხსნა, გულისპირი გაიღეღა და ნაჭრილობევი გამოაჩინა.

— ორდენი გაქვთ? — არ ეშვებოდა გიგა.

— სამი მედალი მაქვს.

— სამი მედალი მამაჩემსაც კი აქვს, მაგრამ ფრონტზე არ ყოფილა.

— მე სხვანაირი მედლები მაქვს.

— მაინც როგორი?

— მაგალითად, „მამაცობისათვის“.

— მანქანა მზად არის. — თქვეს მუშებმა.

— პურის საცხობს ფქვილი შემოაკლდა. — აუხსნა გიგას მამას მძღოლმა.

— აბა, წავედით, — თქვა მამამ და მუშებს ბრეზენტით მანქანის გადახურვაში მიეხმარა. მერე საბარგულზე აძვრა და მოხერხებულად მოიკალათა. გიგა კაბინაში დასვეს. მამამ თანამშრომლებს უკანასკნელი დავალებები მისცა და მანქანაც დაიძრა.

— „მამაცობისათვის“ რატომ მოგცეს?

— მოიცა, ქალაქს გავსცდეთ და მერე მოგიყვები.

მანქანამ რამდენჯერმე მიუხვ-მოუხვია ვიწრო ქუჩებში და განიერ, მოასფალტებულ გზატკეცილზე გავიდა. გზატკეცილზე ბევრი მანქანა მოძრაობდა. მზე უკვე საკმაოდ აცხუნებდა. მანქანა მიჰქროდა და გიგას სიამოვნებდა, გრილი ნიავი რომ სცემდა სახეში. მან კითხვა მორიდებით გაიმეორა.

— ჰო, სად გავჩერდი? — იკითხა მძღოლმა და გიგას ეშმაკურად გადახედა.

— ჯერ არ დაგიწყიათ.

— არ დამიწყია? მაშ, კარგი, დავიწყებ. ომი როდის დაიწყო, იცი?

— ათას ცხრაას ორმოცდაერთში.

— რომელ კლასში ხარ?

— მეექვსეში გადავედი.

— მართლა?! — გაიცინა მძღოლმა, მერე დანანებით დასძინა: — ივანეც მეექვსე კლასში იყო.

— ვინ ივანე?

— ჩვენი პოლკის შვილობილი ივანე, ვანკა. — მძღოლმა ისე ამოიოხრა, თითქოს მთელი ქვეყნის ნაღველი თან ამოაყოლაო; ცალი ხელით პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, თან გზას გასცქეროდა, გიგასკენ არც მოუხედავს; გაჩუმდა, ცოტა ხანს ასე იყო, ჩუმად, პაპიროსს ქაჩავდა, მერე თითქოს სევდამ გადაუარაო, გიგას გაუღიმა და დაიწყო:

— ვანია ხუტორ ლავინსკში დაგვხვდა, ფრონტის ხაზზე. ის ხუტორი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. ბოლოს ჩვენმა ქვეგანაყოფმა დაიკავა და გავმაგრდით. ვანია საღამოს მოვიდა ჩვენთან, ჩამოძენძილი, მშიერი. მას შემდეგ აღარ მოგვცილებია, იმ საბედისწერო ბრძოლამდე, მე რომ დამჭრეს. ის რაიონი და ახლომახლოები, ისე კარგად იცოდა, სად რომელი კენჭი ეგდო, ზეპირად გეტყოდა. ომამდე თავისი რაიონის პიონერთა სახლის ტურისტული წრის წევრი ყოფილა და იქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურობა ფეხით ჰქონდა შემოვლილი. ერთი სიტყვით, დაზვერვაში გვეხმარებოდა. ერთხელ ჩვენი ბიჭები მტრის ზურგში ღრმად შეიჭრნენ, მდინარე უნდა გადაეცურათ. შუა მდინარეს რომ მიაღწიეს, გერმანელებმა ნაპირიდან სროლა ატეხეს. როგორც იქნა გავიდნენ გაღმა. მტრის განლაგების ზუსტი სქემა მზვერავებმა ვანკას ზურგზე დაახატეს ფანქრით. მდინარის გადმოცურვა აღარ შეიძლებოდა, რადგან გერმანელებმა პატრული ორივე მხარეს გააძლიერეს. ვანკას ხიდზე უნდა გაევლო. ხიდი კი სავსე იყო გერმანელებით და გაუჩხრეკავად პირუტყვსაც არ ატარებდნენ. ვანკა ხიდისკენ წავიდა. შენიღბული მზვერავები ვანკას დურბინდით ადევნებდნენ თვალს. ვანკა ხიდს მიუახლოვდა. ხიდზე გლეხები, ბავშვები, ქალები, საქონელი მწკრივში იდგნენ. გერმანელები ყველას გულდასმით ჩხრეკდნენ. ვანკა მობრუნდა და მდინარისკენ გაემართა. მზვერავებს ეგონათ — შეშინდაო, მაგრამ შეცდნენ. ჩხრეკა რომ თავიდან აეცილებინა, ვანკამ ტანსაცმელი გაიხადა, გადაყარა და მდინარის პირას ტალახში ჩურჩხელასავით ამოევლო. ტრუსებიანი პატარა ბიჭისათვის გერმანელებს ზედაც არ შეუხედავთ. ჰოდა, დედა ეტირათ მაშინ ფაშისტებს! კუდით ქვა ვასროლინეთ!

ბევრი ასეთი რამ გააკეთა ვანკამ, მაგრამ ერთხელაც იყო, ჩავარდა. ჩავარდა და ბოძზე გააკრეს გერმანელებმა. ზამთარი იდგა. საშინლად ყინავდა. მარტო ბოძზე გაკვრა არ აკმარეს. შიშველ ტანზე ნელ-ნელა წყალს ასხამდნენ და თანდათან ჰყინავდნენ. ასე მოჰკლეს, წამებით. მაინც არ გათქვა ჩვენები, ბოლომდე ვაჟკაცად დარჩა! სიკვდილის მერე წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს და იმ სოფელში თეთრი მარმარილოს ქანდაკებაც დაუდგეს...

მძღოლი გაჩუმდა. ერთხანს ორივენი ჩუმად იყვნენ. მხოლოდ ძრავის თანაბარი ხმაური არღვევდა სიჩუმეს. მერე ისევ გაჰკრა ასანთი მძღოლმა და გააბოლა.

მალე, მოასფალტებული გზატკეცილი გათავდა და მანქანა მტვრიან შარაზე არახრახდა. გზა სულ მაღლა მიიწევდა, ვიწროვდებოდა და იკლაკნებოდა.

— ეს დაღვერულას გადასასვლელია — თქვა მძღოლმა ხმადაბლა.

გიგას ხმა არ ამოუღია. იჯდა ჩუმად და, ვინ მოსთვლის, რამდენი ეპიზოდი წარმოიდგინა ვანკა-მზვერავის ცხოვრებიდან.

მოსაღამოვდა.

— აქედან ახლოა ჩვენი ბანაკი. — თქვა ისევ მძღოლმა და, გიგა რომ არ გამოეხმაურა, ხმამაღლა დაუმატა, — რა მოგივიდა? გეძინება?

— არა.

შორს გზის მშენებლები, ბულდოზერები, ტრაქტორები და მანქანები გამოჩნდნენ. მძღოლმა სისწრაფეს უკლო და მანქანა შეაჩერა, რადგან გზა გადაღობილი იყო. მერე კარი გააღო, მანქანის საფეხურზე ფეხი დადგა და ხმამაღლა იკითხა:

— რა მოხდა?

— გზა აღარ არის. — უპასუხეს მუშებმა.

— რატომ?

— აქეთ დიდი წვიმები იყო და ნიაღვარმა წალეკა.

— მალე შეაკეთებთ?

— ხვალ დილისათვის იქნება.

გიგას მამამ მძღოლს დაავალა, დილამდე მოეცადა, საჭმელიც დაუტოვა და გიგას მიუბრუნდა:

— ფეხით ივლი თუ მანქანას მოუცდი?

— ვივლი, მაშ რას ვიზამ!

— დარჩი, გიგა. იცი რა ამბებს მოგიყვები! — სთხოვა მძღოლმა გიგას.

— არა, მამასთან ერთად წავალ.

გიგამ და მამამისმა ზურგჩანთები აიკიდეს და გზას გაუდგნენ.

— კეთილად იარეთ! — მიაძახა მძღოლმა.

— შენც კეთილად გემგზავროს.

მამამ სქელლანჩიანი სამთო ფეხსაცმელი გაიძრო, ზურგჩანთიდან რეზინის მაღალყელიანი ჩექმები ამოიღო და ჩაიცვა, მერე თავისი დიდი ზურგჩანთა აიკიდა, გიგა ხელში აიყვანა და მდინარეში შეტოპა.

მდინარე ღრმა არ იყო, მაგრამ წვიმას აედიდებინა და ჩქარა მორბოდა. თუმცა, მდინარე მთაში ყოველთვის ჩქარა მორბის.

„ნუთუ არ შეიძლება ისეთი ხიდი ააშენოს კაცმა, მდინარემ არ წაიღოს?! — ფიქრობდა გიგა. — მე ავაშენებ ისეთ ხიდს, ყველა დიდ მდინარეზე გაიდოს, არა, სჯობს ისეთი ხიდი მოვიგონო, ზღვაზეც გაიდოს. ზღვა რომ ძალზე დიდია? მერე რა, მთავარია, კაცმა მოინდომოს, როგორც მამა ამბობს ხოლმე. აი, თუნდაც მზვერავი ვანკა! მზვერავად ხომ არ დაბადებულა? მოინდომა და გახდა კიდეც; ორდენიც მიიღო. მთავარია, კაცმა მოინდომოს“.

გაღმა ნაპირს რომ მიაღწია, მამამ გიგა მიწაზე დასვა, ჩექმები გაიხადა და ისევ სქელლანჩიანი სამთო ფეხსაცმელი ჩაიცვა. მერე გიგას მიუბრუნდა:

— ახლა ჩვენ კიდევ შვიდი კილომეტრი უნდა გავიაროთ.

გიგამ მხრები აიჩეჩა, შვიდი კილომეტრის გავლას რა უნდაო, გაიფიქრა და წავიდნენ.

. . .

გეოლოგების სოფელი მთის დამრეც ფერდობზე იყო გაშენებული. სოფელს ვამბობ, თორემ ხის ოთხი სახლისა და გრძელი სასადილოს მეტი არაფერი იყო. მთას ყელზე ქარვისფერი მძივებივით ესხა ახლადმოთიბული თივის ზვინები. ცა იყო ლურჯი, სუფთა, გამჭვირვალე. სადღაც შორს პაწია რეაქტიული თვითმფრინავი ძაფივით წვრილ, თეთრ ხაზს ავლებდა.

გიგა ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულიყო წინადღის შთაბეჭდილებებისაგან, მაგრამ რას იზამ, ყოველი ახალი დღე ახალ საფიქრალსა და საზრუნავს გიჩენს. გიგა თავისი ბინის წინ იდგა და არ იცოდა საით გაეხედა, ისე ლამაზი და უჩვეულო იყო მისთვის ყველაფერი.

— მოგწონს აქაურობა? — ჰკითხა მამამ.

— ძალიან.

— ახლა მდინარეზე ჩაირბინე, პირი დაიბანე, ტანიც კარგად დაიზილე, ვისაუზმოთ და მერე ნახავ, როგორ გალამაზდება აქაურობა!

გეოლოგების სოფელს პატარა მდინარე ჩამოუდიოდა. გიგა ნაპირს მიუახლოვდა თუ არა, გუგუნი მოესმა. ცას ახედა, ეგონა ისევ თვითმფრინავი ხმაურობსო, მაგრამ ცაზე პაწია ღრუბელსაც კი ვერ შეამჩნევდით, უცებ გიგამ მდინარის მეორე ნაპირზე მაღალი და წვეტიანი ფიცრული დაინახა. ხმაური იქიდან მოდიოდა. ფიცრულის ახლოს გრძელი მილები ელაგა და მუშები ფუსფუსებდნენ.

ნასაუზმევს გიგამ მამა ეზოში გამოიყვანა, ფიცრულისაკენ გაახედა და ჰკითხა:

— ეს რა არის?

— ეგ ჭაბურღილია. ჩვენ ახლა იქ წავალთ.

ჭაბურღილი დიდ, სამგვერდა პირამიდას მოგაგონებდათ. მას საოცრად გონიერი მანქანა ამუშავებდა. მუშამ ერთ-ერთი ბერკეტი მოქაჩა და ლითონის ბაგი-

რებმა უკან ამოწია დედამიწის გულში ჩაშვებული მილები. უკანასკნელ მილში მკვრივი ქანები ეწყო. გიგას მამამ ქანები დაათვალიერა, თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და თქვა:

— მადანი ჯერ შორს არის.

მერე გიგა და მამამისი გვირაბისაკენ გაეშურნენ.

მთის ხასხასა ფერდობზე გვირაბში შესასვლელი შავი თვალივით ჩანდა. გვირაბში ბნელოდა, ამიტომ, სანამ შიგ შევიდოდნენ, გიგას მამამ სპეციალური სანთურა აანთო, მერე გიგას ჯვალოს წამოსასხამი ჩააცვა.

— მცხელა — თქვა გიგამ.

— არა უშავს, ცოტა მოითმინე, გვირაბში შეგცივდება.

გვირაბში მართლაც ციოდა. გიგა ვერაფერს ხედავდა. მიჰყვებოდა მამას ჩუმად და მორჩილად. მერე თანდათან შეაჩვია თვალი სიბნელეს, მაგრამ ყოველთვის ასე ეგონა: მამის კვალს რომ აცდენოდა, სადღაც, უძირო უფსკრულში გადაიჩეხებოდა, თუმცა გვირაბი არც ისე განიერი იყო. ჭერზე და კედლებზე მსხვილი მორები იყო გამაგრებული. მორებშუა ალაგ-ალაგ წყალი ჩამოდიოდა. წყლის წვეთები სანთურას ალზე წილთად ბრწყინავდა. გვირაბის კედელთან გათხრილ პატარა არხში მიწისქვეშა წყალი მოწანწკარებდა. მამა ცოტახანს რომ შეჩერდებოდა სამაგრი ბოძების შესამოწმებლად, გიგა ამ ანკარა წყაროსა და წყლის წვეთების საამო წკარუნით ტკბებოდა. თან თავის თანაკლასელ და მეგობარ დათაზე ფიქრობდა: ვინ იცის, ახლა სად არისო; მაგრამ, სადაც არ უნდა იყოს, მიწისქვეშა გვირაბს ვერ ნახავსო, თუმცა დათას მამაც გეოლოგი იყო და აქ, ამ გეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობდა. გიგამ უკვე მოიფიქრა, როგორ დაწერდა საშინაო დავალებას: „როგორ გავატარე ზაფხული“, რომელსაც ქართულის მასწავლებელი ყოველ პირველ სექტემბერს აძლევდა მთელ კლასს.

— გიგა, სადა ხარ? — მოესმა შორიდან მამის ხმა.

მამა ოციოდე მეტრის მოშორებით იდგა და მისი უზარმაზარი ჩრდილი ძლივს ეტეოდა გვირაბის ოთხივე კედელზე.

— მოვდივარ.

— გზა რომ აგებნეს, ვეღარ გიპოვი, იცოდე.

— მოვდივარ, მოვდივარ. — მშვიდად უპასუხა გიგამ და უცებ იგრძნო სადღაც უკვალოდ გამქრალიყო ის შიში, გვირაბში შემოსვლისას რომ ჩაუდგა ტანში.

გიგა კედლებსაც ხედავდა, ჭერსაც და გვირაბის გასწვრივ დაწყობილ იმ ფიცრებსაც, რომელზედაც უნდა ეარა. მამასთან რომ მივიდა, სანთურა გამოართვა და წინ გაუძღვა. ამასობაში სანგრევსაც მიუახლოვდნენ.

— ახალი გეოლოგი გვყოლია! — გაიკვირვეს მუშებმა.

— არა, გეოლოგი არა ვარ, მე ხიდის მშენებელი უნდა გამოვიდე! — უპასუხა გიგამ.

— გეოლოგობა არა სჯობს? — არ მოეშვნენ მუშები.

— გეოლოგობაც კარგია, მაგრამ მე ხიდების მშენებელი ინჟინერი უნდა გამოვიდე! — ისე დაბეჯითებით თქვა გიგამ, რომ მუშებმა ჯერ გიგას მამას შეხედეს, მერე კი ყველამ ერთად ხმამაღლა გადაიხარხარა. ხარხარზე მიწისქვეშ ყველაფერი აგუგუნდა, გეგონებოდათ, მთელი მიწისქვეშეთის წყვდიადიც ხარხარებსო. ხმაური სადღაც, გვირაბის მიღმა შეწყდა. გიგას მამამ მუშებს რაღაც რჩევა-დარიგება მისცა და უკან გამობრუნდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, შორს თეთრი, პაწაწინა ხვრელი გამოჩნდა.

— ეს რა არის? — იკითხა გიგამ.

— გასასვლელია.

შორიდან გვირაბის პირი ნემსის ყუნწივით პატარა ჩანდა. გიგას გაუკვირდა კიდეც, როგორ გავეტევიო, მაგრამ ხვრელი თანდათან დიდდებოდა და დიდდებოდა, კედელი აქეთ-იქით იწევდა და ყველაფერი თავის ადგილას დგებოდა. მამამ ნაბიჯი შეანელა და სანთურა ჩააქრო.

— აღარ მივდივართ? — ჰკითხა გიგამ მამას.

— ნელა ვიაროთ, თორემ სიბნელიდან სინათლეში რომ გავალთ, თვალები გეტკინება.

გარეთ აუტანლად ცხელოდა. გიგამ ჯვალოს მოსასხამი გაიხადა და გვირაბის პირას ჩრდილში ჩამოჯდა. მამამ პაპიროსი გააბოლა და თქვა:

— ცუდად არის საქმე. მადანი ჯერ კიდევ შორს არის.

საღამოს, როცა გეოლოგების სოფლის ყველა მცხოვრები შინ დაბრუნდა, გიგას მამამ კრება მოიწვია. ძალიან ბევრი ილაპარაკა მომავალ გეგმებზე, კერძოდ, იმ საძიებო სამუშაოებზე, ხვალიდანვე რომ უნდა დაეწყოთ. გიგას მამას ყველა დაეთანხმა.

მეორე დილით მამამ გიგა დილაადრიან გააღვიძა. ცხენები უკვე შეეკაზმათ და ბარგიც შეეგროვებინათ.

— საით მივდივართ? — ჰკითხა გიგამ მამას.

— მთებში.

— მთებში? სად ვიცხოვრებთ? იქაც არის სახლები?

— კარვებში! — პასუხი უბრალო, მაგრამ სასიხარულო იყო.

ის-ის იყო საძიებო რაზმი გზას უნდა გადგომოდა, რომ გეოლოგების სოფელს მანქანამ მოაყვირა. მანქანიდან პარტიის მთავარი გეოლოგი და კიდევ, იცით, ვინ გადმოვიდა? დათა, გიგას თანაკლასელი დათა, ცელქი და მოუსვენარი.

სანამ გიგას მამა დათას მამას ესაუბრებოდა, გიგამ დათას უამბო, საით და რისთვის მიდიოდნენ.

— მეც მინდა მთებში. — თქვა დათამ. მერე მამასთან მიირბინა და სთხოვა, გიგას მამას მთაში გავყვებიო.

— წამოვიდეს, — თქვა გიგას მამამაც, — სადაც ერთი იქაც მეორე. გაერთობიან და, სანამ მე სამუშაოდან დავბრუნდები, ერთად ითამაშებენ ან რაიმეს წაიკითხავენ.

მალე დათასაც შეუკაზმეს ცხენი, საძილე ტომარა და ზურგჩანთაც იმავე ცხენს აჰკიდეს და დაიძრნენ.

წინ, თეთრ ულაყზე ამხედრებული, გიგას მამა მიუძღოდათ. მერე დათა და გიგა მიდიოდნენ, მათ გეოლოგები მიჰყვებოდნენ. მართალია, გიგა და დათა „ძველი მოჯირითეები“ იყვნენ, მაგრამ ცხენზე ჯდომა, ისიც ასეთ გზებზე, ხუმრობა საქმე როდია! ამიტომ დინჯად ეჭირათ თავი და სხვებივით არ ოხუნჯობდნენ. თუმცა სხვებიც მალე გაჩუმდნენ, რადგან გზა ვიწრო და მაღალი ხევის პირას გაუყვა. ცხენები ერთმანეთს წყნარად მისდევდნენ.

ნაშუადღევს გიგას მამამ წყაროსთან შეაჩერა ცხენი. წყარო კლდიდან გადმოჩუხჩუხებდა და ისე ცივი იყო, ერთ ყლუპსაც ძლივს დალევდით.

— დაიღალეთ? — ჰკითხა გიგას მამამ ბიჭებს. ბიჭებმა პასუხის ნაცვლად გაიცინეს და ჩამოქვეითდნენ; ცხენები მათაც სადავეებით ხეს მიაბეს.

— ცხენებმა გვატარეს და ჩვენ რატომ დავიღლებოდით?! — თქვა დათამ.

— არც მოგშივდათ?

გეოლოგებმა წყაროს პირას, დიდი მუხის ჩრდილში გაშალეს სუფრა. ისაუზმეს. ცოტა დაისვენეს და ისევ დაიძრნენ.

როცა მზემ ძალა დაჰკარგა და გვარიანად აგრილდა, გეოლოგების რაზმი ტყის პირას გავიდა. გიგას მამამ ცხენი შეაჩერა და რუკა ამოიღო. ერთხანს იმსჯელეს და გადაწყვიტეს ბანაკი აქვე, ტყის პირას გაემართათ.

კარავში თუ გიცხოვრიათ? თუ გიცხოვრიათ დაბურული ტყის პირას ჩამდგარ კარავში, გვერდით პატარა ღელე რომ ჩამოუდის? არა? მაშ თქვენ ბევრი სასიამოვნო რამ არ გამოგიცდიათ!

საღამოჟამს კარავში საოცარი სიჩუმეა ხოლმე. წევხარ საძილე ტომარაში და ფიქრობ. თუ ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი და მთვარეც ანათებს, მაშინ კარავი უცნაურად ნათდება. მომწვანო-რუხი ბრეზენტი თითქოს გამჭვირვალე ხდება. კარვის გარშემო ნისლი ნელა მოძრაობს და ასე გეჩვენება, თითქოს პატარა იალქნიანი ნავით სადღაც მიცურავ. პატარ-პატარა ღრუბლებიც მოძრაობენ და გიკვირს, რომ ცაში არა ხარ ღრუბლებთან ერთად, ისე მსუბუქია ირგვლივ ყველაფერი. საიდანღაც ღელის ჩურჩული გესმის, საიდანღაც — ფოთლების შრიალი. აკი გითხარით, საოცარი სიჩუმეა-



მეთქი და ირგვლივ არაფერი მოხდება ისეთი, შენს ყურამდე რომ არ მოაღწიოს. წევხარ საძილე ტომარაში და თითქოს გესმის დედამიწის სუნთქვა, თითქოს დედამიწასთან ერთად ბრუნავ და... ძილი გერევა ამ თავბრუდამხვევ სილამაზეში.

გათენება კიდევ უფრო ლამაზია. კარავი ჯერ შავი გეჩვენება, მაგრამ თანდათან ნათელი ფერის ხდება.. ის მხარე, საიდანაც მზე ამოდის, უეცრად ნათდება, ზედ ხის ტოტებისა და ფოთლების ათასნაირი ჩრდილი ირხევა. მერე ჩიტები აჟივჟივდებიან. იადონი გალობს, გუგული „გუ-გუ-გუ-გუს" გაიძახის, ტოროლა ცაში ნავარდობს და მღერის; კოდალა კი მორიდებული სტუმარივით აკაკუნებს. მერე ბანაკის მცხოვრებლებსაც ეღვიძებათ. ვიღაც პირველი გამოყოფს თავს კარავიდან, დაიძახებს: ხალხო, ადექით, მზე უკვე ამობრძანდაო, და ყველაფერი სწრაფად ცოცხლდება. მზე მართლაც მხიარულად იცინის. რუ უფრო ხმამაღლა რაკრაკებს და გიხმობს, ძილისაგან მოთენთილი სხეული ცივი წყლით გამოაფხიზლო და გალაღდე.

ან როცა წვიმს! რა შეედრება მაშინ კარავში ყოფნას! ჯერ პატარა, მსუბუქი წვეთები ეცემა კარავზე და ისიც დოლივით ხმაურობს. მერე წვეთები მსხვილდება, ხშირდება და კარავი ისეთ ნაირ-ნაირ ბგერებს გამოსცემს, რომ კარგად გაწვრთნილ მედოლესაც გაუჭირდება ასე დაკვრა. პირველად გაშფოთებს წვიმის ხმაური, მაგრამ მალე ეჩვევი და უკვე გამხიარულებს კიდეც წვიმის ცვალებადი რიტმი. თუ ქარმა წამოუბერა, კარგია: ღრუბლებს გარეკავს და ისევ შეძლებ გარეთ გამოხვიდე, ტყეში გაინავარდო. თუმცა ქარსაც უნდა დაუგდო ყური, ქარსაც უნდა მოუსმინო, სხვადასხვა მხრიდან რომ ეხვევა კარავს და მღერის, ზუზუნებს, წივის. შენ კი, ვითომც აქ არაფერიაო, ზიხარ ჩუმად, სუფთად, თბილად და წყნარად. ზიხარ და ყურს უგდებ წვიმისა და ქარის შეწყობილ სიმღერას და არაფრისაც არ გეშინია.

გეოლოგები ყოველ დილით უთენია მიდიოდნენ სამუშაოდ. ბანაკში მხოლოდ გიგა და დათა რჩებოდნენ. ბიჭები ცალკე კარავში ცხოვრობდნენ. ყველა თამაში ითამაშეს, რაც კი იცოდნენ; ყველა წიგნი წაიკითხეს, რაც კი თან ჰქონდათ წამოღებული. ამის მერე აღარ იცოდნენ რა ექნათ!

ერთ მშვენიერ დილას, რომ გაიღვიძეს, საძილე ტომრებს შუა კარგა მოზრდილი თეთრი მადნის ნატეხი და ასეთი შინაარსის ბარათი დახვდათ:

„გიგა, შენ და დათა, როცა ისაუზმებთ, ღელეს აუყევით და კალაპოტში ამ მადნის მსგავსი თეთრი კენჭები ეძებეთ. ეცადეთ, იპოვნოთ. შორს არ წახვიდეთ, ღელიდან არ გადაუხვიოთ, გზა არ აგებნეთ.

მ ა მ ა.

დავალება მიიღეს და შინ, აბა, რა გააჩერებდათ! ისაუზმეს თუ არა, ღელეს მიაშურეს და თეთრ კენჭებს გულდასმით დაუწყეს ძებნა. ღელის ნაპირებზე და შიგ ღელეშიც მრავალნაირი კენჭები ეყარა, მაგრამ ისინი უმთავრესად მუქი ფერისა იყო, რამდენიმე ღია ფერის ნატეხიც იპოვნეს, მაგრამ ძალზე მსუბუქი. გეოლოგების მიერ ნაპოვნი მადანი კი ისეთი მძიმე და მაგარი იყო, ძლივს გატეხეს. ბიჭები ღელეს აქეთ-იქით მიუყვებოდნენ. ხელში მადნის ნატეხი ეჭირათ და ყოველ თეთრ კენჭს ადარებდნენ.

ერთ ადგილას ღელე ორად იყოფოდა.

— მოდი, შენ მარჯვნივ წადი, მე მარცხნივ წავალ. — უთხრა გიგამ დათას.

— ერთმანეთი არ დავკარგოთ.

— არა, ერთმანეთს ხმას მივაწვდენთ.
— თუ ჩემი პასუხი ვერ გაიგონო, უკან დაბრუნდი.
— კარგი, ამ გასაყარში შევხვდეთ.
— ეგებ ერთად წავსულიყავით! — ურჩია დათამ.
— რაო, გეშინია?
— ვის ეშინია, ბიჭო, მე?
— ჰო, შენ.
— მშიშარა შენ თვითონა ხარ.
— თუ არ გეშინია, რატომ გინდა ერთად ვიაროთ.
— იმიტომ, რომ ამ ადგილებში პირველად ვართ და...
— როგორც გინდა. — თქვა გიგამ და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.
— მე ისე გითხარი, შენ კი...
— თუ მართლა გეშინია, ერთად წავიდეთ.
— გვირაბში იყავი? — ჰკითხა უცებ დათამ გიგას.
— ვიყავი.
— მერე?
— რა მერე.
— არ შეგეშინდა?
— რად უნდა შემშინებოდა, მამასთან ერთად ვიყავი.
— შენ არც იცი, რომ მე გვირაბში მარტო დავდიოდი!.. ახლა რომ არ ვიქნებით მამასთან ერთად?
— მერე რა!
— კარგი, კარგი. მე აქეთ წავალ.
დათა მარჯვნივ წავიდა, გიგა კი — მარცხნივ.
მიდიოდა დათა და ფიქრობდა: მშიშარა ვგონივარ? ხმას არ ამოვიღებ და ერთი ვნახოთ, სანამდე გაძლებსო.
მიდიოდა გიგა და ფიქრობდა: რა ტრაბახა ყოფილა ეს დათა, გვირაბში მარტო დავდიოდიო. ხმას არ ამოვიღებ და ერთი ვნახოთ, თუ არ შეშინდებაო.
მართლაც დიდხანს იარეს ჩუმად. მაღნის ძებნა ორივეს გადაავიწყდა. უცებ ჩამობნელდა. მთაში ისე სწრაფად შეიყრება ღრუბელი, ისე სწრაფად ჩამობნელდება, ისე სწრაფად შეიცვლება ამინდი, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ. გაიელვა და ისე ძლიერ დაიგრუხუნა, გეგონებოდათ ატომური ყუმბარა ააფეთქესო.
დათამ ცას ახედა. ახედა და წვიმის მსხვილი წვეთი მოხვდა სახეში. გიგამაც ახედა ცას და წვიმის მსხვილი წვეთი იმასაც მოხვდა სახეში.
დათამ დაიყვირა:
— გიგა!
გიგამაც დაიყვირა:
— დათა!
მაგრამ ვერცერთმა ვერაფერი გაიგონა, რადგან ქარი ციბრუტივით ტრიალებდა და ყურისწამღები სისინით ავსებდა იქაურობას.
დათა ღელეს დაღმა მოუყვებოდა სირბილით და ყვიროდა.
გიგაც დაღმა მოუყვებოდა ღელეს და ისიც ყვიროდა.
დათას ეშინოდა: პასუხი რომ არ ისმის, გიგას რაიმე ხომ არ შეემთხვაო.
გიგასაც ეშინოდა: პასუხი არ ისმის, დათას რაიმე ხომ არ შეემთხვაო.
დათამ უფრო სწრაფად მოკურცხლა.
გიგამაც უფრო სწრაფად მოკურცხლა.
„გიგასთან უნდა წავიდე, ვუშველოო", — ფიქრობდა დათა.
„დათასთან უნდა წავიდე, ვუშველოო", — ფიქრობდა გიგა.
ორივენი თუვქუდმოგლეჯილი მორბოდნენ. მორბოდნენ და ღელეს გასაყარში კინაღამ არ შეასკდნენ ერთმანეთს!
— სად ხარ, ბიჭო, ხმას ვერ ამოიღებ? — ჰკითხა გიგამ.
— სად ხარ, ბიჭო, ხმას ვერ ამოიღებ? — ჰკითხა დათამ.
და, რადგან ეს ყველაფერი თითქმის ერთდროულად მოხდა, იმის მაგიერ, რომ ეჩხუბათ, სიცილი წასკდათ. ბევრი იცინეს, წვიმაც დაავიწყდათ, ქარიც, ელვაც და ჭექა-ქუხილიც. თუმცა რა დაავიწყდათ: ცა ისევ გაიხსნა, ლურჯად განათდა, მზემ ისევ გამოიხედა და სიწყნარე და სიმშვიდე დაუბრუნდა ქვეყნიერებას.
გიგას მამამ ტალახში მოთხვრილი და გაწუწული ბიჭები რომ დაინახა, გაიცინა და თქვა:
— რამდენი გიმუშავნიათ, წვიმაც დაგვიწყებიათ და ქარიც!
მხოლოდ ახლა გაახსენდათ ბიჭებს, ღელეში რისთვისაც წავიდნენ. როცა გაშრნენ და მადიანად ისადილეს, გიგას მამამ ბიჭებს იმ თეთრ მადანზე უამბო. თურმე ეს მადანი ძალიან საჭირო ყოფილა ჩვენი ქვეყნის მძიმე მრეწველობისათვის და მხოლოდ საქართველოს მთიანეთში მოიპოვება.
— მადანი თუ მთებში ასე მაღლაა, ჩვენ ღელეში რატომ ვეძებთ?! — იკითხეს ბიჭემა ერთხმად.
მამამ აუხსნა: ის ზონა, მადანს რომ შეიცავს, სწორედ იმ ქედზე გადის, სადაც ეს ღელე იღებს სათავეს. ქარი, წვიმა და მზე ნელ-ნელა შლის ამ გამძლე მადანს და ღელე პატარ-პატარა ნატეხებად ქვევით ეზიდება.
— თუ ეს ასეა, — წამოიძახა დათამ, — მაშინ ჩვენ ვიპოვნით იმ მადანს.
— ჩვენ აუცილებლად ვიპოვნით მადანს! — კვერი დაუკრა გიგამ.
— ვნახოთ. — უთხრა მამამ, — ოღონდ ერთმანეთს ნულარ დასცილდებით.
მეორე დილით მამამ ბიჭების კარავში რომ შეიხედა, საძილე ტომრები ცარიელი დახვდა. იქვე ბარათი იყო:
„მამა! ჩვენ მაშინ დავბრუნდებით, როცა მადანს ვიპოვნით!
„ეს რა უბედურებაა" — გაიფიქრა გიგას მამამ. მეზობლებს მოუხმო, ბარათი უჩვენა და სთხოვა, თუ ბავშვები სადილობამდე არ გამოჩნდებიან, ღელის სათავეებისაკენ წადით საძებნელადო.
ამასობაში ბიჭებმა ღელის ყველა შენაკადი მოიარეს, ვერაფერი ნახეს და გადაწყვიტეს უფრო ზევით, მთის მწვერვალისაკენ წასულიყვნენ.
ბიჭებმა ჯერ ერთი ბორცვი გადაიარეს, მერე მეორე და... ზევით, კლდეში, თეთრი მადანი დაინახეს. მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ასვლა არ გინდა!
— მაშინ მე მარტო ავალ და შენ აქედან მიცქირე.
— მამაშენმა რომ თქვა, ერთმანეთს არ დასცილდეთო?
— შენც წამოდი, ვინ გიშლის?
დათამ ხელი ჩაიქნია და წავიდნენ. ბევრი იწვალეს: მუცლითაც ხოხავდნენ. ოთხზეც მიბობღავდნენ, მაგრამ თეთრი მადანი მაინც ზევით რჩებოდა. დაიღალნენ.
— მადანი რომ არ ვიპოვნოთ, შინ არ დაბრუნდები?
— ვიპოვნეთ და ეგ არის. ვერა ხედავ, როგორ თეთრად ანათებს? — თქვა დაბეჯითებით გიგამ, წამოდგა და გზა განაგრძეს.
რაც უფრო მაღლა ადიოდნენ, მით უფრო უჭირდათ სუნთქვა და უძნელდებოდათ სიარული.
და სწორედ მაშინ, როცა ნამდვილად ცოტაღა დარჩა ბიჭებს ისეთი ძნელი მონაკვეთის გავლა მოუხდათ, რომ ორივეს ოფლმა დაასხა.
— უკან დაბრუნება არ გინდა? — თქვა დათამ, რო-

ცა ხევის პირას ვიწრო ბილიკივით დაკლაკნილი ადგილი გაიარეს და ხევში ჩაიხედა.

სადღაც ქვემოთ, ძლივს მოჩანდა ღელე თავისი ყვავილა შენაკადით.

— ზევიდან გადავალთ. — დაამედა გიგამ დათა.

— ეს რა არის?! — იყვირა დათამ და თეთრ მადანს დახედა.

მუქ ნაცრისფერ კლდეს კარგა მოზრდილ ლაქად შეტმასნოდა ფითრი, თეთრი, ქათქათა ფითრი, მზისგან გახუნებული. გიგამ ფითრი მადნის ნატეხით რამდენიმე ადგილას გაფხაჭნა. ფითრის ქვეშაც კლდე მუქი-ნაცრისფერი იყო.

— რა ვქნათ ახლა? — არ ისვენებდა დათა.

— რა ვქნათ-და, — ზევით ვიძებოთ! — ჯიუტობდა გიგა.

ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერც ზევით ავიდნენ, ვერც ქვევით დაეშვნენ, ვერც მარჯვნივ და ვერც მარცხნივ ვერ გავიდნენ, უკან დაბრუნებაზე ხომ ოცნება ზედმეტი იყო, რადგან იმ ხევის პირას გავლა ორთავეს შიშისაგან მუხლის კანკალს გვრიდა გახსენებისთანავე.

— რა სწრაფად ღამდება აქ ოხერ მთაში! — ბუზღუნებდა დათა.

— წამო, სანამ გაწვიმდება უკან დავბრუნდეთ — გადაწყვიტა დათამ.

— ხევისპირზე? — გაოცდა გიგა.

— ჰო, რა მოხდა, მერე? — ხომ ამოვბობღდით, ჩასვლითაც ჩავალთ როგორმე.

ამის თქმა იყო და კოკისპირულმა წვიმამ დასცხო. მერე გაიელვა, ცა გაიხსნა და ერთი წუთის წინ მშრალი ღრმულები წყლით აივსო. მერე წყალი ღრმულებიდანაც გადმოვიდა, ჯერ წყაროსხელა გახდა, მერე რუსხელა, მერე ღელისხელა და მალე პატარა კენჭებიც ააგორა. ბიჭები ფითრის ქვეშ, გამოქვაბულში შეიყუჟნენ და სიცივისაგან აკანკალდნენ.

უცებ კლდეს დიდი ლოდი მოსწყდა და ხმაურით დაეშვა ხევში. ხევის პირას ლოდი მიწაზე დაეცა, ყუმბარასავით აფეთქდა და წვრილ-წვრილ ნატეხებად დაიფშვნა. იმ ადგილს, სადაც ლოდი მოსწყდა, ნიაღვარი მიასკდა. ნიაღვარმა კიდევ ერთი ლოდი მოგლიჯა და პატარა ბუჩქიც მიაყოლა.

— გიგა! დათა! — მოისმა ამ დროს ყვირილი.

— აქეთ! აქეთ! — მიაძახეს ბიჭებმა სიხარულით.

— სადა ხართ, სადა? — ისმოდა გიგას მამის ძახილი.

— ზევით, ზევით! — ღრიალებდნენ ბიჭები, წვიმის ხმაური რომ დაეფარათ.

გიგას მამა სწორედ იმ ადგილას გამოჩნდა, სადაც



კლდიდან მოტეხილი ლოდი დაეცა. ჯერ ბიჭებს ამოხედა. მერე ჩაიჩოჩა, რალაცეები აკრიფა და ჯიბეში ჩაიდო. მიმოიხედა, ლაჯგამოწყვეტილ წინ დაიწყო სიარული. ბიჭებმა შესახვედრად წასვლა გადაწყვიტეს, მაგრამ ფეხი გადადგეს თუ არა, გიგას მამამ დაიყვირა:

— მანდ იყავით, არ გაინძრეთ!

— ახლა კი მოგვხვდება, — თქვა დათამ.

გიგას მამა ნელა, ფრთხილად მიიწევდა ზევით, უკან ერთი გეოლოგი მოჰყვებოდა.

— აქ რამ ამოგიყვანათ, თქვე ქაჯებო?! — გაიოცა გეოლოგმა.

— ფითრმა, ფითრმა, — უპასუხეს ბიჭებმა.

— ფითრმა?! — ეჭვით იკითხა მამამ.

— ჰო, შორიდან თეთრი მადანი გვეგონა.

— მერე ხევის პირას რომ გამოხვედით, ვერაფერი ნახეთ? — იკითხა ისევ გეოლოგმა.

— ხევისპირას მუხლები გვიკანკალებდა. — ოხუნჯობის ხასიათზე მოვიდა დათა.

— აი, ნახეთ! — გიგას მამამ ჯიბიდან თეთრი მადნის ნატეხი ამოიღო.

გიგამ და დათამ ერთმანეთს გადახედეს და გაოცებისაგან შეჰყვირეს.

— ეს მადანი რომ არ ეპოვნა, ცემა არ აგცდებოდათ. — თქვა გეოლოგმა და გიგას მამას შეხედა.

ბიჭები გაისუსნენ. მიხვდნენ, რომ პირველი აღმოჩენა მაინცდამაინც არ უნდა იყოს კარგი საქმე.

— ამათ ხვალ მოველაპარაკები, — თქვა დინჯად გიგას მამამ, — ახლა საით წავიდეთ? — ჰკითხა გეოლოგს.

— ზევით მეცხვარეების ბილიკია.

და წავიდნენ.

მეორე დღესაც წვიმდა, მესამე დღესაც. მეოთხე დღეს ქარიშხალი ამოვარდა. ამინდის ბიურო კარგს არაფერს პირდებოდა მთიან რაიონებში მცხოვრებთ და მომუშავეთ.

არავითარმა თხოვნამ არ გასჭრა: ბიჭები თბილისში უნდა გაბრუნებულიყვნენ.

როცა მანქანაში ჩასვეს და გეოლოგების სოფლიდან რკინიგზის სადგურში გაამგზავრეს, აცრემლებულმა ბიჭებმა ერთმანეთს შეჰფიცეს გეოლოგები გამხდარიყვნენ. გეოლოგები მამაცნი, დინჯები, დაკვირვებულები არიან. ბიჭებმა გადაწყვიტეს თვითონაც დინჯები, დაკვირვებულები და მამაცები ყოფილიყვნენ, თვითონაც ეძებნათ თეთრი მადანი, რომელიც მთელ მსოფლიოს სიკეთეს მოუტანდა.

და იცით რა მოხდა? იმ ღამეს მატარებელში ორთავეს ერთი სიზმარი ესტუმრა: ისინი ცხოვრობდნენ საოცარ, თეთრ ქალაქში. ქუჩებში თეთრი სახლები იდგა, ბაღში თეთრი ხეები ხარობდა, ხეებზე თეთრი ჩიტები ისხდნენ. ქალაქში სიმშვიდე იდგა. თეთრი ფერი ხომ მშვიდობის ფერია. ამიტომაც არის მშვიდობის მტრედი თეთრი! ამიტომაც აუგეს ვანკა მჟვერვს თეთრი მარმარილოს ქანდაკება.

ქალაქში ბლომად იყო თეთრი მადანი, იმდენი იყო, რომ მსოფლიოს ყველა კუთხეში იგზავნებოდა. და შენდებოდა მთელ მსოფლიოში თეთრი ქალაქები: თეთრი, ჩუმი, წყნარი, მშვიდობის ქალაქები, სადაც გიგასა და დათას თანატოლები ცხოვრობდნენ. ქალაქები მრავლდებოდა, ქალაქები თეთრი სოკოებივით სწრაფად მრავლდებოდა. ყოველი მათგანი სავსე იყო მშვიდობის თეთრი მადნის საბადოებით, რომელიც სახელგანთქმულმა გეოლოგებმა გიგამ და დათამ აღმოაჩინეს. ამ საოცარ თეთრ ქვეყანას თავზე ყოველთვის დაჰნათოდა შვიდფერად მოელვარე ცისარტყელა, ცისარტყელა — კარგი ამინდის მაცნე!



# ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო...

**ჩვენს ჟურნალის განყოფილებას ამჯერად ეწვია ქართული კალათბურთის ვეტერანი. სახელგანთქმული სპორტსმენი ნოდარ ჯორჯიკია. გთავაზობთ მის ნაამბობს.**

14 წლის ბიჭუნას ოცნებას ხომ საზღვარი არა აქვს! მეც ასე ვიყავი. განსაკუთრებით მოგზაურობა მიტაცებდა: ხან თვითმფრინავით მივქროდი ლაჟვარდოვან ცაზე, ხან გემის კაპიტნის ბოგრიტით გავცქეროდი აბობოქრებული ოკეანის მღელვარე ტალღებს. მარტის ამინდივით მეცვლებოდა სურვილი. ლექსების წერაც მეხერხებოდა, მაგრამ მოგზაურობის წადილი იმდენად დიდი მქონდა, რომ ერთხანს მანქანის მძღოლობაზეც ვოცნებობდი. მინდოდა მთელი სამყარო შემომევლო, ფეხდაუდგმელი არ დამრჩენოდა შარა თუ ბილიკი. ყველა ამ ოცნებასთან ერთად, ერთი დიდი ოცნებაც მქონდა. ეს დიდის სურვილი იყო! პატარა დავობლებულვარ, დედა არ მახსოვს, გულს მაკლდა, როცა ჩემს თანატოლებს დედები თავს დასტრიალებდნენ, თუმცა ჩემი აღმზრდელებისადმი მადლობის მეტი რა მეთქმის! იმდროინდელი ოცნებებიდან სწორედ დედის სიყვარული დამრჩა აუხდენელ წადილად, თორემ, მოგზაურობით კი, ბევრი ვიმოგზაურე. სადღა არ ვიყავი: ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფინეთში, შვეციაში, ეგვიპტეში... მსოფლიოს 17 ქვეყანა მოვინახულე. მართალია, ეს მოგზაურობა ჩემს სპორტულ შეჯიბრებებთან იყო დაკავშირებული და გზებსა და ბილიკებზე სასიარულოდ წუთიც არ მქონდა (წინასწარ წრთვნასა და მომზადებაში დრო შეუმჩნევლად ილეოდა) მაგრამ მოგზაურობა — მაინც მოგზაურობაა! ამიხდა ჩემი უმაწვილური ოცნება!.. ხშირად კაცს სასიკეთო გზაზე კეთილი სიტყვა, წახალისება ან გულისხმიერი დარიგება დააყენებს ხოლმე. მაგრამ ზოგჯერ პირიქითაც ხდება. გულსატკენი სიტყვაც შეგმართავს სასიკეთოდ და შთაგბერავს ნებისყოფას დასახული მიზნის მისაღწევად.

უნივერსიტეტში სწავლის დროს კალათბურთის სექციაში დავიწყე მეცადინეობა (ადრე ფეხბურთით ვიყავი გატაცებული). უნივერსიტეტის სპორტის კათედრასთან სკოლა შეიქმნა. მე გულით მინდოდა ამ სკოლაში მევლო, შემოწმების შემდეგ ჩემმა მწვრთნელმა უიმედოდ მითხრა: შენ კალათბურთელი ვერ გამოხვალო. ტყვიასავით მომხვდა ეს სიტყვა, მაგრამ გული მაინც არ გავიტეხე, თუმცა არც შინაურებს მოსდიოდათ ჭკუაში ჩემი სპორტით გატაცება. ბებიაჩემი ხან სად მიმალავდა სავარჯიშო ტანსაცმელს და ხან სად. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, თუ კაცი მოინდომებს ბეწვის ხიდზეც გავაო. ამხანაგების დახმარებით მეც ჩავირიცხე სკოლაში. რაკი მწვრთნელს არ მოვწონდი, ერთიორად მოვინდომე დავუფლებოდი ამ ლამაზი და სახალისო სპორტის „საიდუმლოებას". დარბაზიდან აღარ გამოვდიოდი, საქმეც კარგად წავიდა და ერთი წლის შემდეგ უკვე ოსტატთა გუნდის შემადგენლობაში ვთამაშობდი...

რაკი ჩემს სპორტულ სარბიელზე ჩამოვარდა სიტყვა, მე მინდა ჩემი პირველი გამარჯვებისა და მარცხის განცდებიც გაგიზიაროთ. პირველი გამარჯვების სიხარული განვიცადე ქალაქ პრაღაში 1947 წელს, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი მსოფლიო პირველობის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად წავიდა. დიდი სახელი ჰქონდათ იმ ხანად იტალიისა და საფრანგეთის გუნდებს. თვით ჩეხოსლოვაკიის გუნდი 1940 წლის ჩემპიონი იყო. ევროპის პრესა საბჭოთა გუნდს ერთი სიტყვითაც კი არ იხსენიებდა. ჩვენ დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით სამშობლოსა და საბჭოთა კალათბურთის წინაშე. პირველად ბრაზილიის გუნდს ვეთამაშეთ. არავის ეგონა, რომ ამ თამაშს მოვიგებდით, მაგრამ... გავიმარჯვეთ! შემდეგ ჩეხოსლოვაკიის გუნდს გავეჯიბრეთ, სხვის მოედანზე თავს გარიყულებივით ვგრძნობდით! რა თქმა უნდა, გულშემატკივართა მთლიანი თანაგრძნობა იმათ მხარეზე იყო. მაგრამ, მთავარია, ასეთ ვითარებაში მოიგო, თორემ ხელშემწყობ პირობებში ყველაც მოიგებს. როცა საბჭოთა კავშირის დროშა აღმართეს და ჩვენი ჰიმნი დაუკრეს, წარმოუდგენელი სიამაყისა და სიხარულის გრძნობა დაგვეუფლა. მე მგონი, არ არსებობს იმაზე დიდი სასიამოვნო განცდა, შენი ხალხი რომ ახახელო და მისი მადლიერება დაიმსახურო.

შეჯიბრებაში მარცხი და გამარჯვება ძმები არიან. გამარჯვების სიხარულზე უფრო მწვავეა მარცხით აღძრული გულისტკივილი. მახსოვს, ლენინგრადში ათი უძლიერესი ქალაქის გუნდების თამაში მოეწყო. ამ თამაშზე ჩვენი გუნდი მოსკოვის გუნდს ეთამაშებოდა. ეს გუნდი შესუსტებული იყო, რამდენიმე მოთამაშე აკლდა. ალბათ ამან წაგვათამამა და თამაშს უპასუხისმგებლოდ მოვეკიდეთ. ჩვენი განწყობილება უმალ დაგვეტყო. საქმე წაგებაზე მიდგა, ერთი ქულით ვაგებდით. დაინიშნა ორი საჯარიმო სროლა. ორივეჯერ ბურთი მე



ნოდარ ჯორჯიკია,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

უნდა მესროლა, მაგრამ სწორედ ამ „წათამამებამ" დამიკარგა ხელში ძალა თუ როგორ იყო, ახლაც არ ვიცი, ვერცერთი ვერ მოვახვედრე კალათში და წაგება შეგვრჩა. მთელი ღამე არ მეძინა. განსაკუთრებით მაწუხებდა ეს მარცხი, რადგან გუნდის უპასუხისმგებლობა ჩემმა გამტყუნებულმა თამაშმა დაადგვირგვინა. თამაში თამაშია, სპორტსმენი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით უნდა გადიოდეს მოედანზე!

ყველა მოზარდი სპორტის რომელიმე სახეობას უნდა ეუფლებოდეს. თუ კალათბურთზე შეაჩერებს არჩევანს, ურიგო არ იქნება. კალათბურთი ლამაზი, ხალისიანი თამაშია. მოთამაშე ერთდროულად სირბილიც უხდება, ხტომაც, სხეული მთლიან მოძრაობაშია და ფიზიკურ ჯანმრთელობასთან ერთად, სულიერადაც აწრთობს მას.

ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო, უპირველესად, დავეუფლებოდი უცხო ენებს, მივიღებდი ფილოლოგიურ განათლებასაც. სპორტულ საქმიანობას კი წინ რა უდგას, იგი უნდა ამშვენებდეს ყველა პროფესიისა და ასაკის მშრომელი ადამიანის ცხოვრებას!



**ნანა კიკნაძე**

# ქართული საუკუნოა კერამიკა

დღევანდელი საზოგადოებრიობა ქართული გამოყენებითი ხელოვნების ახლად დაბადების და აღიარების მოწმე ხდება. კერამიკა არის გამოყენებითი ხელოვნების აღორძინების პირველი მერცხალი, რომელსაც კვალდაკვალ მიჰყვება ჭედურობა და სხვა დარგები. თანამედროვე ქართული კერამიკა გადაიქცა საბჭოთა ეროვნული ხელოვნების სანიმუშო მაგალითად.

რა არის მისი ასეთი წარმატების მიზეზი?

ჩვენში კერამიკა უხსოვარ დროს წარმოიშვა, მომდევნო ათასწლეულებმა მიწის წიაღს ამოაფარეს პირველი კერამიკოსების მიერ შექმნილი ნაკეთობანი, მაგრამ თიხას როდი ეშინია დროისა. მან ისტორიას და არქეოლოგიას, საუკუნეობრივი ტყვეობიდან განთავისუფლების მერე, ბევრ საიდუმლოებაზე აუხილა თვალი და დაადასტურა, რომ ქართულ კერამიკას მეტად ძველი ფესვები აქვს. თიხისაგან შექმნილ ნივთზე ჩვენმა წინაპრებმა აღბეჭდეს თავიანთი წარმოდგენები, ჩვევები, საქმიანობა და გართობანი. ეს არის პირველი თავისებური „წიგნი" ყოფა-ცხოვრებაზე. საქართველოს ისტორიულ მუზეუმში თავმოყრილია თრიალეთში, კოლხეთში, მცხეთასა და კახეთში აღმოჩენილი ქვისა და ბრინჯაოს ხანის კერამიკის ბრწყინვალე ნიმუშები. გვაოცებს შავპრიალა ორნამენტიანი და წითელი, მოხატული კერამიკის დახვეწილობა, სინატიფე; ზოგი — ერთი ციდაა, ზოგი — კარგა მოზრდილი, ზედ დაძერწილი ან ამოკაწრული ორნამენტებით.

აბა, დახედეთ ამ ფოტოსურათებს. № 1. ეს არის თრიალეთის სამარხებში ნაპოვნი სასმისები; № 2. წითელი წერნაქით მოხატული ვეება ქოთანი; № 3. შავპრიალა თიხის ჭურჭელი, ზედ დაძერწილი სახეებით.

ფეოდალური ხანის კერამიკის ნიმუშებია დმანისში აღმოჩენილი სალებავებით და ფერადი ჭიქურებით დაფარული ჯამები, დოქები. № 4 ფოტოსურათზე გამოსახულია მოხატული ჯამები. ერთზე — ლომია, მეორეზე კი — ზღაპრული ფრინველი.



რეზო მეტრეველი. ლუდის სასმისების კომპლექტი. შებოლილი თიხა, ჭიქური.

მიუხედავად მწარე ისტორიული ბედისა, ქართულმა ხელოვნებამ მაინც შემოინახა თავი მეოცე საუკუნემდე. XIX საუკუნეში ქართველი მექოთნეები ეროვნული ხასიათის ნაკეთობებს ჰქმნიან. ეს არის უჭიქურო (სურათი № 5) და ჭიქურიანი (სურათი № 6) მოხატული დოქები, კოკები, გოზაურები, ჭინჭილები, ჯამები, მარნები, თეფშები, ქანდაკებები. მაგრამ სწორედ ეს საუკუნე უქადდა მათ განადგურებას. ქარხნებში უხვად დამზადებულმა ჭურჭელმა წალეკა ხელოსნობა. მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გაშალა კერამიკამ ხელახლა ფრთა. მის ახალ კერად და ბუდედ თბილისის სამხატვრო აკადემია იქცა. აქედან გამოვიდა კერამიკოსების მთელი თაობა: ალექსანდრე ფიცხელაური, ნიკო გომელაური, დავით ციციშვილი, ზაქრო მაისურაძე და სხვები, რომელთაც საფუძველი შეუქმნეს თანამედროვე კერამიკის განვითარებას.

ამ ბოლო დროს კერამიკა იქცა ხელოვნების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ დარგად. თუ ძველთაძველი ნამუშევრები საიდუმლოდ ინახავენ თავიანთი ოსტატების სახელებს, თანამედროვე კერამიკოსების სახელი ყველასათვის ცნობილია. ესენი არიან სამხატვრო აკადემიაში მოღვაწე მხატვარი-კერამიკოსები: გიორგი ქართველიშვილი, კატო ხაზლიძე, რეზო იაშვილი, ირინე გაჩეჩილაძე, სულხან სულხანიშვილი, მედეა ჩიხლაძე, ალფე კაკაბაძე, ნანა კიკნაძე, რეზო მეტრეველი, მერი ჯალაღანია, ძუძუნა ფოჩხიძე, ქეთო კარგარეთელი, მოთა ნარიმანაშვილი, გულნარა მეტრეველი, გულნარა გოგიჩაიშვილი, რომა ცუხიშვილი, გივი ფარუაშვილი, სოლომონ ადიკაშვილი, მურთაზ აბაშიძე და სხვები. ამ წერილში შევეხებით მხოლოდ ზოგიერთი მათგანის შემოქმედებას. თითოეულ ამ მხატვარს საკუთარი შემოქმედებითი სახე აქვს. ვინც გამოფენებს თვალს ადევნებს, შემჩნეული ექნება ზაქრო მაისურაძის საყურადღებო ნამუშევრები, სერია „ბერიკაობა" და ცალკეული პატარა პანოები. მისი „მოცეკვავე ქალი" (სურათი № 7) მნახველს იზიდავს თავისი მოხდენილი მოძრაობით და ხალისიანი ფერებით. კატო ხაზლიძის დოქები, სერვიზები, თეფშები, პატარა ფიგურები (სურ. № 8) ხასიათდებიან ფერის, ნახატის, ფორმის ფაქიზი გრძნობით, სითბოთი და სისადავით. მხატვარი ძუძუნა ფოჩხიძე კი პირიქით: დიდ, მასიურ, ჭარბად შემკულ ფორმებს ირჩევს, მის ნახელავს საზეიმო ელფერი გადაჰკრავს (სურ. № 9).



ალფე კაკაბაძე. მარანი. წითელი თიხა.



ქეთო კარგარეთელი. ღვინის დოქი და ფიალები.



სულხან სულხანიშვილი. „ავაზა". მოჭიქული თეთრი და ფირუზისფერი ჭიქურით.

სიახლის მაძიებელი მხატვარია მედეა ჩიხლაძე. იგი თავის შემოქმედებით გვაგრძნობინებს, რომ კერამიკა არა მარტო სახმარი, ან მოსართავი ნივთია, არამედ ამასთან ერთად ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშიც.

აი, მაგალითად მისი კერამიკული პანო (სურ. № 10). აქ გამოსახული ჯიხვი უძველეს ნიმუშზეც გვხვდება, თუნდაც, თრიალეთის სამარხებში ნაპოვნ სასმისებზე (სურ. № 1). მხატვარმა მედეა ჩიხლაძემ ამ ტრადიციულ ფორმას ახლებურად შეასხა ხორცი, ძველს ჰგავს კიდეც და არც ჰგავს. აი, ამას ჰქვია მემკვიდრეობის შემოქმედებითი გამოყენება.

თავისებური ხელოვანია სულხან სულხანიშვილი. მის მიერ გამოძერწილი ცხოველების პატარა ქანდაკებები სახასიათო და „სიცოცხლით" სავსენი არიან, რომელთაც ოდნავ სახუმარო ელფერიც დაჰკრავთ. ასეთია მისი „ავაზა" (სურ. № 11), „ბარი", „არწივი", „მაიმუნი". მისი სასმისები, ჭინჭილები და დოქები ფორმითა და შემკულობით ცხოვე-

კახეთი XII საუკ. წითელი მოუჭიქავი თიხა. [illegible] მოხატული.

წითელი ფერის ჭურჭელი. თრიალეთი. ბრინჯაოს ხანა.

შავად შებოლილი თიხის ჭურჭელი. თრიალეთი. გვიანი ბრინჯაოს ხანა.

ფერადი, მოჭიქული კერამიკა. დმანისი, ფეოდალური ხანა.

XIX ს. კახეთი. თეთრი ჭიქურით დაფარული ჭურჭელი. [illegible] მოხატული.

შავად შებოლილი კრიალა კერამიკა. ბრინჯაოს ხანა.







ზაქრო მაისურაძე.
მოცეკვავე. ქაშანური.



კატო ბაბლიძე.
სახინკლე და ლუდის სერვიზი.
შებოლილი თიხა



ჟუჟუნა ფოჩხიძე.
დოქები — „ხევსურები“. შებოლილი თიხა, ჭიქურებით მოხატული.



მედეა ჩიხლაძე.
პანო. ჯიხვი. შებოლილი თიხა.



შოთა ნარიმანაშვილი.
დოქი „სალამური“ ჭიქებით. შებოლილი თიხა.

ლებს მიაგვანან, რაც ერთიორად მიმზიდველს ხდის მათ.

ალდე კაკაბაძის მინიატურულ ქანდაკებებს, დოქებსა თუ ჯამებს, მშობლიური ხელოვნების ცოდნა და სიყვარული ატყვია. აი, მაგალითად, ეს მარანი (სურ. № 12) უფრო ჯიხვის ქანდაკებაა, რომელსაც მხარზე შემოუწყვია ქვევრ-ჭინჭილები. მარნის ასეთი მხატვრული გააზრება მხატვრის სიახლეა.

მხატვარი ირინე გაჩეჩილაძე უმეტესად ჭურჭელზე მუშაობს (სურ. № 13), მაგრამ ეს შემოქმედი იმითაც არის საინტერესო, რომ თიხისაგან პორტრეტებსაც ჰქმნის. გამოფენაზე თქვენ ალბათ გინახავთ პორტრეტი „ეთერ ბუხრაშვილი“ და სხვა. № 14 სურათზე თქვენ ხედავთ რეზო მეტრეველის „ლუდის ტოლჩებს“. თვალს სიამოვნებს ტოლჩის თავისებური მოყვანილობა, რომელზედაც ნახატი ლამაზად არის განლაგებული.

ირინე გაჩეჩილაძე.
ეთერ ბუხრაშვილის პორტრეტი.
წითლად გამომწვარი თიხა.



მხატვარ რეზო იაშვილს დიდი წვლილი შეაქვს მონუმენტურ-დეკორაციული კერამიკის განვითარებაში. ვინც ყოფილა ზედაზნის მთაზე, ალბათ შეამჩნევდა გზაზე ჩადგმულ წყაროებს, რომლებიც მშვენივრად ეგუებიან იქაურ მიდამოს. ეს წყაროები ამ მხატვრის შემოქმედების ერთ-ერთი ნიმუშია.

ამავე დარგში მუშაობს რომა ცუხიშვილი. მისი პანო „ქვევრების რეცხვა“ (სურ. № 15) დგას ღვინის № 1 ქარხნის მარანში.

ქართული კერამიკის წარმატება ამ დარგში მომუშავე მხატვრების საერთო შემოქმედების ნაყოფია.

1960 წელს მოსკოვის გამოფენაზე ჩვენმა შავმა, ჭიქურის თვლებით შემკულმა თიხამ ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვა. არანაკლები წარმატება ხვდა ქართულ კერამიკას 1962 წელს პრაღაში გამართულ კერამიკის მსოფლიო გამოფენაზე, სადაც მედლები და დიპლომები დაიმსახურა.

მ. ჩიხლაძე და ნ. კიკნაძე.
სერვიზი ხინკლისა და მწვადისათვის.
თიხა, ფერადი ჭიქურებით მოხატული, ვერცხლის სალტეებით მოვარაყებული.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ირინე ბაჩეჩილაძე.
ლარნაკი თეფშით. შებოლილი თიხა.



რომა ცუხიშვილი
ფერადი პანო. შამოტი.

10.66 3

ქართული კერამიკის ნიმუშებმა დამთვალიერებელთა საერთო აღიარება მოიპოვა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოყენებითი ხელოვნების გამოფენაზე მოსკოვში, რომელიც სულ ახლახანს დაიხურა.

დღემდე მოპოვებული მიღწევები კიდევ უფრო მეტ მოთხოვნილებებს უყენებს ქართველ ოსტატებს. კერამიკა მხოლოდ ჭურჭელი როდია! ქართულმა კერამიკამ უნდა დაამშვენოს ჩვენი ბაღები, პარკები, გამზირები, შენობები.

ქართველი კერამიკოსები ალბათ ამ საპატიო მოვალეობასაც პირნათლად გაართმევენ თავს.

# დაჭრილი ჩიტუნა

გ. ტიტოვი თარგმნა ნათელა ფურცელაძემ

ჩიტი უეცრად გულაღმა ამოტრიალდა, ფრთა უხერხულად ააფარფატა და ქვასავით დაეშვა მიწაზე.

— დამჭრეს!

— რატომ, რატომ, რატომ... — ექოდ გამოეხმაურა ტრამალი და ვაციწვერას ქერა ტალღებად დაირწა.

ჩიტმა ნისკარტი დააღო და ცახცახით შეისრუტა ჰაერი. მერე გუნდასავით დაპატარავდა, თითქოს ცის ლაჟვარდში უნდა აჭრილიყო და იქ გაენელებინა თავისი ტკივილი, მაგრამ... წვრილი ფეხები შეტოკდნენ და პაწაწია შხუილით წამოსულ დრეკად ტალღას მკერდით შეეჯახა.

სად იყო და სად არა, საშაც გაჩნდა. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ღაწვებზე და ბორგნეულად ჩურჩულებდა:

— დაგჭრეს, ჩემო ჩიტუნა! საყვარელო... აწი როგორღა შეინავარდებ ცაში?.. ჩემო ჩიტუნა...

მინდოდა მეყვირა: „საშა, შენ ხომ ლაპარაკი არ შეგეძლო! შენ ხომ დაბადებით ყრუ-მუნჯი ხარ! შენ ხომ...“ მაგრამ ჩემი ხმა სიცარიელეს შემორჩა. შეძრწუნებულმა ვიგრძენი, რომ ტუჩებს უხმოდ ვაცმაცუნებდი, თითქოს ენა წამერთვაო.

საშკამ პაწაწია ხელში აიყვანა და მკერდზე მიიხუტა. მხოლოდ ახლა შევნიშნე სისხლი. ჩიტის ჭიაფერი სისხლის პაწაწინა წვეთი თეთრ ბუმბულზე ჩამოსრიალდა და საშას ხელზე დაეცა. ბიჭმა თვალი გააყოლა ჩიტის ტანზე პაწია ნაკადულივით ჩაცურებულ წვეთს. მერე ცრემლებით სავსე თვალებით ამომხედა, თავი გაიქნია და მითხრა:

— გრცხვენოდეს!.. აბა, რა დაგიშავა? რად გაიმეტე? რად?

— ადამიანი კეთილი უნდა იყოს! — ყრუდ ამოიგმინა ტრამალმა.

— საშა, საშკა... შენ ხომ... გესმის... შენ ხომ ჯერ კიდევ გუშინ... ყრუ-მუნჯი იყავი...

— გრცხვენოდეს!.. ეს ხომ ჩიტია, ეს ხომ ცას შესტრფოდა! რად გასწირე?

— საშკა! საშა, საშა!

— შენ დასჭერი ეს, უგუნურო!

— სა-ა-ა-შა-ა...

მძიმე, ხრინწიანი „ა-ა-ა“ აღმომხდა გულიდან და ჩემსავე ყვირილზე გამომეღვიძა. ვაგონის საწოლიდან წამოვხტი. ოთხი ცნობისმოყვარე თვალი დამცინავი ღიმილით მომჩერებოდა.

— მე... მე, მგონი, ძილში ვყვიროდი!

— არაფერია... ხდება ხოლმე. — გალობასავით გაწელა

სიტყვა სარკმელს მიყუდებულმა მგზავრმა. — თქვენს ასაკში, ყმაწვილო, მეც მესიზმრებოდა ნაშა, მაშა, დაშა...

დავკვეთე ქალი. — საშა ქალი კი არა, ვაჟია. ექვსი წლის პატარა ბიჭია, ძალზე ჭკვიანი, ცისფერი თვალები აქვს. მე მას შევხვდი...

კუპეში მაგიდის ნათურა ენთო, გაუბედავად რომ ებრძოდა სარკმელთან მომდგარ სექტემბრის ჟინჟღლიან ღამეს. ჩვენი ვაგონი ისე ძაგძაგებდა, თითქოს სცივაო. მობუზული ვიღაცას მესიზმრებოდა განუჭვრეტელ წყვდიადში, მაგრამ თანაგრძნობას ვერ პოულობდა. ჩემს ზემოთ, ზედა საწოლზე მგზავრი ფშვინავდა, თან ოდნავ წაუსტვენდა ხოლმე. ის ორნი უკვე აღარ მიღიმოდნენ. ყურადღებით შემომყურებდნენ და ელოდნენ — აგერ-აგერ გვიამბობს თავის ამბავსაო. მე კი უეცრად შემრცხვა, თითქოს იმ საიდუმლოს წამოყრანტალებას ვაპირებდი, მარტო მე რომ არ მეკუთვნოდა. მაგრამ რატომ იყო საიდუმლო? ეს მეც არ ვიცოდი. ეჰ, ნეტავი ცხოვრებაში თვითეულ „რატომ“-ს მუდამ მოეძებნებოდეს პასუხი.

იგი შუა გზაზე ჩამჯდარიყო, მზისგან გახუნებული, ნაცრისფერი პერანგი ეცვა, სახეზე ხელები აეფარებინა და დუმდა. სოფლის ყაჩაღანა ბავშვების ჯგროს ხმაურითა და ყიჟინით წრე შეეკრა მის გარშემო. თვითეული მათგანი დროს ურჩევდა, რომ მარაგზიდან წამოხვეტილი ერთი მუჭა მტვერი თავზე დაეყარა მისთვის.

— რას სჩადიხართ! — აღშფოთებით შევყვირე მე...

ბიჭებმა ყიჟინი შეწყვიტეს, შორიახლოს გაუბედავად შეჯგუფდნენ და ჩემს ყოველ მოძრაობას გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ. ჩანდა, რომ ბოროტი ონავრები მიხვდნენ რა ღრმად შეტოპეს თამაშში და ჩემგან კარგს არას ელოდნენ.

— რა გქვია? — მივუბრუნდი გზაზე მჯდომ ბიჭუნას.

ბიჭუნა დუმდა. ბავშვებმა თავშეკავებულად ჩაიხითხითეს.

— რას გერჩიან ესენი?

ბიჭი არ განძრეულა, თითქოს შეკითხვა მას არ ეხებოდა. გრძელი თითები დროდადრო ნერვულად უთრთოდა, ხელებს მჭიდროდ იფარებდა თვალებზე, ეშინოდა კიდევ არ შემაყარონ მტვერიო.

— ეგ მუნჯია! — დაიძახა მზისგან ცხვირგადატყავებულმა ბიჭუნამ.

— ყრუც არის, სულ ასეთია. ცვენ სულაც არ ვაბლაზღებდით. ცვენ ვულკანობანას ვთამაშობდით. მაგას სანკა ქქვია! — სულმოუთქმელად წამოისროლა მეორემ.

ერთი ხანობა ვიფიქრე, ბავშვები მეხუმრებიან, ალბათ უნდათ მოზრდილი კაცისათვის უაზრო და უსიამოვნო თამაშში ჩამითრიონ-მეთქი. ჯერ ბავშვებს გადავხედე, შემდეგ სანკას და უეცრად ვიგრძენი, ტკივილისაგან როგორ შემეკუმშა გული.

— მე თქვენ გ-გათამაშებთ! — აღმომხდა ჩემდაუნებურად. ბავშვები თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ აქეთ-იქით.

აი, როგორ შევხვდი მას... საშას...

ბალღები რომ მიმოიფანტნენ, ბიჭუნამ ხელისგულები ნელ-ნელა ჩამოიცურა სახეზე და გაოცებით შემომხედა. ხელი გავუწოდე. მან თავისი პატარა, მტვრიანი, წვრილთითებიანი ხელი ნდობით გამომიწოდა. ასე ხელიხელჩაკიდებულნი გავუყევით გზას.

— მაინც როგორ მოხდა ეს, საშა? — უნებლიეთ წამომცდა კითხვა.

ბავშვმა დიდრონი, ცისფერი თვალებით ამომხედა და გამიღიმა.

— კარგი, კარგი... არაფერია... — ჩურჩულით ვიმშვიდებდი თავს, — უპატრონოდ ხმასაც ვერ გაგცემენ... ერთი სცადონ!..

იმ დღეს მე და საშამ, ხელიხელჩაკიდებულებმა, ბევრი ვიხეტიალეთ მისი მშობლიური სოფლის წყნარ შუკებში. მე რაღაცას ვუამბობდი. როგორ მინდოდა ჩემი ნალაპარაკევი გაეგო: თუმცა ვიცოდი — საშას ჩემი ხმა არ ესმოდა და ვერც ჩემს ნაამბობს გაიგებდა. ეს კი გულზე მძიმე ლოდად მაწვა.

საშა გვერდით მომყვებოდა და პატარა, შიშველ ფეხებს ბალახზე მოაფრატუნებდა, თან ცდილობდა წინიდან შემოერბინა ჩემთვის და თვალებში ჩაეხედა. ერთმანეთს რომ პირდაპირ შევხედავდით, თვალებში სიხარულის ნაპერწკალი აუკიაფდებოდა, თითქოს მთელი თავისი ხანმოკლე, მდუმარებით აღსავსე ცხოვრების მანძილზე ელოდა ამ შეხვედრას და, როგორც იქნა, მოესწროო.

იმ დღიდან თითქმის ორმა კვირამ გაიარა. მე და საშა დავმეგობრდით. ხანდახან, როცა მთელი დღე დაიკარგებოდა ხოლმე (თუმცა ეს იშვიათად ხდებოდა), ვგრძნობდი, რომ რაღაც მაკლდა. ბოლოს ვხვდებოდი, რომ საშა მაკლდა, მისი უჩუმარი სიახლოვე მაკლდა.

თვითონაც შემეთვისა, მასაც გულწრფელად შევუყვარდი. დილით, გამოვიღვიძებდი თუ არა, სათივეზე ჩემს სასთუმალთან მჯდარ ბიჭუნას დავლანდავდი ხოლმე.

— დილა მშვიდობისა, საშიკო! დღეს საით გავსწიოთ? — ვეკითხებოდი და წინასწარ ვიცოდი, ხელს ტრამალისაკენ გაიშვერდა, მოუთმენელი სიხარულით წამოენთებოდა მომღიმარი თვალები.

ტრამალი კი ჩიტების შეხმატკბილებული გალობით, კუტკალიების ჭრიჭინითა და მინდვრის ნაზი ყვავილების სურნელებით გვეგებებოდა. აქ საშას მართლაც რომ ვეღარ იცნობდი: დარბოდა, ხტუნაობდა, ბალახში კოტრიალობდა, ყირაზე გადადიოდა, თან ისე ხარხარებდა, თვალებზე ცრემლებიც კი მოადგებოდა ხოლმე. მეგონება, თვით მზეს აუყვანია იგი თავის უზარმაზარ, უჩინარ ხელებში, ფრთხილად ისვრის მაღლა ჰაერში და უღიტინებსო.

მე და საშას ყველაზე ძალიან ლელით მოშამბული პატარა ტბის პირას გვიყვარდა ჯდომა. წყნარად შრიალებდა ლერწამი, შარიშურობდა ისლი, ზანტ თვლემაში კრიალებდა ტბა და მხოლოდ ჭაობის თოლიების გულშემზარავი ყივილი არღვევდა ბუნების მომხიბვლელ ჰარმონიას.

საშა, ჩვეულებრივ, მუხლებზე იდაყვებით დაყრდნობილი იჯდა და ჩემთვის უცნობ ფიქრებს გაეტაცნა.

— შეხედე, საშიკო! ეს ჩიტებია, — ხელით ვანიშნე თოლიებზე. — ხედავ, ყვირიან! ნისკარტს აღებენ, იქიდან ხმები იღვრება. აი, როგორც მზე... ის ახლა ღრუბლის ფთილას მოეფარებია და არა ჩანს. აგერ, ღრუბლებიდან თავი ამოყო, წყალს სხივები დააფინა... ეს ყივილსა ჰგავს! გესმის! ანდა ლერწამი... სახელიც რომ სევდიანი აქვს, დამაფიქრებელი... რომ შეირხევა, აი, ასე ხმაურობს ხოლმე... წყნარად...

ძალიან ვცდილობდი ჟესტიკულაციით მაინც როგორმე მიმეხვედრებინა. როგორ მინდოდა დამეფლითა ამ ბიჭუნას გარემომცველი მდუმარება! მაგრამ ამაო იყო ჩემი გულისწადილი. ვფიქრობდი, იქნებ იოტისოდენად მაინც ჩავაწვეთო-მეთქი ყურში ბგერათა უზარმაზარი სამყაროს რაიმე ხმა, მაგრამ მის ფართოდ გახელილ თვალებს წავაწყდი მხოლოდ. თვალებში კი ცნობისმოყვარეობის ტკივილი და გულწრფელი გაკვირვება იყო აღბეჭდილი.

— ეჰ, საშა, საშა... — ამოვიოხრე მე. — რად არის ქვეყანა ასე მკაცრად მოწყობილი? ნუთუ მთელი შენი სიცოცხლე ასე უნდა იყო?

საშა უცებ წამოხტა და უკანმოუხედავად გაიქცა. ბორძიკ-ბორძიკით მირბოდა, ყურებზე ხელები აეფარებინა...

ღამით კი სათივეზე მომაკითხა. ლოყასთან მისი სუნთქვა ვიგრძენი და მაშინვე გამომეღვიძა. საშა ჩემს გვერდით წამოწოლილიყო, ხელები თავქვეშ ამოეწყო და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეჰყურებდა.

„რა დაგემართა, ჩემო მეგობარო? — ვერ მიმხვდარიყავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე. — რომ შემებრალე, გული ხომ არ გატკინე? თუ მიხვდი, რომ შენ ისეთი არა ხარ, როგორიც ჩვენ ყველანი ვართ?"

— ვარსკვლავები! — ხელი გაიშვირე ცისკენ. — მათ შორის ისეთებიც არის, ადამიანის მარჯვენამ რომ შექმნა და ცის სივრცეში სრბოლავს. აი, შენც დავაჟკაცდები, საშა, ისწავლი და, ვინ იცის,ეგებ მაგ ხელებმა ყოვლისმხედველი და ყოვლისმსმენელი ხელსაწყოებიც შექმნას.

დილით ყველაფერი ისევ ძველებურად იყო, ოღონდ ჩემი მეგობრის გამოხედვაში მოულოდნელად რაღაც ახალი შევნიშნე, რაც მას ექვსი წლის ბავშვზე გაცილებით გონიერსა და საერიოზულს აჩენდა.

მერე კი... მერე დადგა ის დღე... ნათელი, მზიანი... ნეტავი სულაც არ ყოფილიყო ასეთი კარგი! მაშინ ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა. არც ჩვენს მეგობრობას გაუჩნდებოდა ბზარი, გული რომ დაგვიკოდა ორთავეს.

საშას იმთავითვე ტანმა ცუდი რამ უაზრა, ხელში თოფი რომ დამინახა. გატყობდი, არ ეხალისებოდა აგზედითი იარაღით ტრამალში წასვლა, მაგრამ ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ დასძლია.



სადღა იყო ის აღტაცება და სიხარული, ტრამალის დანახვა რომ მოჰგვრიდა ხოლმე. პირიქით, კუშტად მომდევდა გვერდით. ხანდახან მზეში აბრჭყვიალებულ, მოსევადებულ ორლულიანს, ზურგზე რომ მქონდა ჩამოკონწიალებული, ალმაცერად შეაპარებდა ხოლმე თვალს.

ვერაფერი ვერ მოვკალი. სიცხისაგან მოთენთილები შინ ვბრუნდებოდით, ძლივს მოვათრევდით დაღლილ ფეხებს. ჩვენს თავს ზემოთ კი, თითქოს ხელმოცარულ მონადირეებს დაგვცინისო, თავდაჯერებით უსტვენდა პრანწია.

— მე შენ გაგაცინებ! — ჩავიცინე და თოფი მხარზე მივიბჯინე. ,,ვესროლო, თუ არ ვესროლო? — ზანტად მიტრიალებდა თავში ეს აზრი. — ექ! რის მაქნისია! საშა თუ გაერთობა, თორემ"...

მაინც ვერ გადავწყვიტე, როგორ მოვქცეულიყავი. ამასობაში პრანწია სროლისთვის ხელსაყრელ მანძილზე მოფრინდა და თითმა თავისთავად მოსწია სასხლეტი. ორივე ლულიდან ერთდროულად გაიპნა ტყვია-წამალი და, თოფმა, თითქოსდა წყრომით, მხარში უდიერად უკუმიბიძგა.

რა ცოდვაც დაეტრიალებინა ერთ ჩემს წინდაუხედავ გასროლას, უმალვე მივხვდი, როცა საშას შევხედე.

იგი ფერმიხდილი იდგა, ხელები უკანკალებდა, მერე, უცებ, დამეტაკა, თოფი ხელიდან გამომტაცა და მოისროლა.

მეორე დღეს აღარ გამოჩენილა. ამაოდ ველოდი.

ზოზინით გადიოდა უღიმღამო, ერთფეროვანი დღეები. ტრამალისკენაც აღარ მიმიწევდა გული, და, თუ ჩვევის გამო მაინც გავივლიდი, წინანდებურად აღარ მხიბლავდა. ტრამალი თითქოს დაცარიელდა, გაუფერულდა, მოიღუშა...

შვებულებაც მალე მითავდებოდა. შემოდგომა კარს გვადგა. ცა სულ უფროდაუფრო იბურებოდა ლეგა ღრუბლებით.

მეზობლის ბიჭებმა მიამბეს, საშამ პრანწია მოარჩინაო. დილაადრიან გამოუყვანია ტრამალზე, ზევით შეუსროლია და კარგახანს ფეხდაფეხ უდევნია, სანამ ლონემიხდილი მიწაზე პირქვე არ დაცემულა.

ჩემი გამგზავრების დღეც დადგა. დილიდანვე ჟინჟღლავდა. ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი ზმუოდა, დაძმარებული ბურით დაეტოვე სოფელი. ფეხით გავიარე სველი ტრამალი, უზარმაზარ, უკიდეგანო უდაბნოდ მეჩვენა იგი. აი, ის ადგილი, სადაც ერთმა გასროლამ ჩიტიც დასჯრა და მეგობარიც დამაკარგვინა!..

— ექ, საშა, საშა, მე ხომ შენი წყენინება არ მინდოდა!..

სადგურზე ადრე მივედი, ბილეთი ვიყიდე და მატარებლის ლოდინში ბაქანზე ყიალი დავიწყე. ოცდახუთი წუთის შემდეგ კიდეც შემოგრიალდა მატარებელი. მთელი ბაქანი ორთქლში გაეხვია. ხალხი აფუსფუსდა, მუჯლუგუნებით მიიკვლევდნენ გზას, ვაგონებს აწყდებოდნენ. ჩემოდანი ავიღე და ნელ-ნელა ხალხს მივყევი, და უეცრად... საშა დავინახე.

— საშა! — აღმომხდა მე.

თითქოს ძახილი გაიგონაო, ჩემსკენ შემოტრიალდა და, გონს მოსვლა ვერც კი მოვასწარი, ყელზე ჩამომეკიდა.

— კარგი ერთი, საშიკო, გეყოფა, ჩემო კარგო... გეყოფა... მაპატიე... მე ჩამოვალ... პირობას გაძლევ... — ყელში ბურთივით რაღაც მეჩხირებოდა და მახრჩობდა.

,,ჩემო საყვარელო მეგობარო! როგორ... ფეხშიშველამ გადმოიარე ამოდენა ტრამალი... დამიდარაჯდი..."

მატარებელი სიჩქარეს უმატებდა, ბიჭი თანდათან წერტილივით დაპატარავდა და ბოლოს სულ გაუჩინარდა.

• • •

— ...მაინც რომელი საშა დაგესიზმრათ? — არ მეშვებოდნენ თანამგზავრები.

— ჩემი მეგობარი! — მივუგე და ფანჯრისაკენ შევბრუნდი.

დღემდე ვერ გამიგია, რატომ არ ვუამბე მათ ეს ამბავი. თუმცა რამდენჯერ გვხვდება ცხოვრებაში ეს კითხვა — რატომ. ძნელია ყოველთვის პასუხი გასცე, ზოგჯერ კი, ისე, ტკივილი გაჩუმებს.



ოლეგ პოპოვი

# სიცილის ჯადოქარი

**ვ. ნიკოლაიშვილი**

საცირკო ხელოვნება დიდსა და პატარას ერთნაირად იზიდავს. ცნობილია, რომ ცირკისადმი დიდ ინტერესს იჩენდა მრავალი გამოჩენილი ადამიანი. თავის დროზე ა. ჩეხოვმა, ვ. მაიაკოვსკიმ, ა. კუპრინმა და ბევრმა სხვა მწერალმა, მხატვარმა და კომპოზიტორმა შესანიშნავი ნაწარმოები უძღვნა ცირკის თემას. ა. კუპრინმა თავის მოთხრობებში („ალექსი", „ცირკში", „ოლღა სური", „ჰაერზე მსუბუქი", „ალისფერი სისხლი" და სხვა) ფართოდ ასახა ცარიზმის დროინდელი ცირკის ცხოვრება. მოთხრობა „თეთრ პუდელში" მწერალმა პატარა, მოხეტიალე ცირკის ცხოვრება დაგვიხატა. ეს მოთხრობა მსოფლიოს თითქმის ყველა ეროვნების ბავშვის საყვარელი ნაწარმოებია.

გამოჩენილ საბჭოთა მწერალს მაქსიმ გორკის ახალგაზრდობაში ცირკის მსახიობად გახდომა უცდია, მაგრამ უშედეგოდ. თავისი ცხოვრების ეს ეპიზოდი მან მოთხრობა „თეატრსა და ცირკში" აღწერა. მ. გორკი შემდეგში ცირკის ხშირი სტუმარი იყო, პირადად იცნობდა მანეჟის ბევრ ოსტატს. „მე მიყვარს ცირკი, — წერდა მ. გორკი, — და მისი მსახიობები, ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად და მშვიდად საფრთხეში აგდებენ თავიანთ სიცოცხლეს".

გინახავთ ცირკში პარად-პროლოგი, რომლითაც ზოგჯერ იხსნება საცირკო ხელოვნების გაბედულ ოსტატთა წარმოდგენა? მაშინ სარბიელზე გამოდის მთელი დასი: ლამაზ კოსტიუმებში გამოწყობილი მუშაითები და ჯამბაზები, ხელმარდი ჟონგლიორები და ილუზიონისტები, მამაცი ცხენოსნები და ტანმოვარჯიშეები, გულადი მომთვინიერებლები და საჰაერო მფრინავები, ხუმარა ოინბაზები და კლოუნები ეს უკანასკნელნი კი მთელი პროგრამის მთავარი მოქმედი პირნი არიან, ნომრებს ერთმანეთთან აკავშირებენ, პაუზებს ავსებენ სახუმარო გამოსვლებით. მართლაც, რა საინტერესო და მიმზიდველიც არ უნდა იყოს საცირკო წარმოდგენა, ყველა მაყურებელი, დიდი თუ პატარა, მოუთმენლად ელის კლოუნის გამოჩენას, რადგანაც მისი მახვილგონივრული იუმორი, მიზანსწრაფული სატირა, წინა ნომრის იმიტაცია-პაროდია, სახუმარო მალაყები, მოქნილი ილეთები დარბაზში გამოცოცხლებას, ხალისსა და სიცილს იწვევს. მაყურებელთან ყველაზე მეტად კლოუნია დაკავშირებული, იგი მეფობს სარბიელზე, მას მიჰყავს წარმოდგენა, ჰმატებს რიტმს, ტონს, ეშხს, ელფერს.



კლოუნის როლი ცირკში კარგად განსაზღვრა მიხეილ ივანეს ძე კალინინმა. იგი წერდა: „ჩემი აზრით, ცირკის მთავარი ნომერი ნიჭიერი კლოუნია, რომელსაც შეუძლია ხალხური იუმორით აცინოს მასა. ეს, ჩემი აზრით, ყველაზე ძნელი თეატრალური როლია, რომელსაც უეჭველად სჭირდება ნიჭი".

ჩვენი მაყურებელი კარგად იც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობს საბჭოთა ცირკის ბევრ ცნობილ რეალისტ კომიკოსს, რომელიც ლაკონური ენით, კლოუნადის საშუალებით სასტიკად ამათრახებს კაპიტალისტურ ზნე-ჩვეულებას, ჩვენი საზოგადოების მანკიერ ადამიანებს — ბიუროკრატებს, მლიქვნელებს, მექრთამეებს, ქორვაჭრებს, ხულიგნებს, მუქთახორებს, ზარმაცებს. ასეთი კომიკოსები არიან სატირიკოსი კარანდაში, „გულუბრყვილო" იური ნიკულინი, მხიარული კონსტანტინე ბერმანი, „ლაზღანდარა" ბორის ვიატკინი, ოინბაზი სანდრო თედიაშვილი, მასხარა ედუარდ სერედა, ეშმაკი აკრამ იუსუპოვი. ამ ნიჭიერ მსახიობთა შორის დღეს ყველაზე პოპულარულია მსოფლიოში სახელგანთქმული კლოუნი, რსფსრ სახალხო არტისტი ოლეგ პოპოვი, რომელიც თბილისში საგასტროლოდ მესამედ ჩამოვიდა.

ცირკში კლოუნის პირველ გამოჩენას „ანტრე" ეწოდება. „ანტრე" ფრანგული სიტყვაა და რაღაც მოულოდნელს, უცაბედ კონფლიქტს ნიშნავს. სწორედ ასეთი მოულოდნელობით აღინიშნება ო. პოპოვის გამოჩენა.

აი, დარბაზში სასულე ორკესტრი მარშის გუგუნით შემოდის. უეცრად მაღალი თაღიდან სწრაფად ეშვება „რაკეტა" და ნახერხმოყრილ არენაზე რბილად ჯდება. გაისმის აფეთქების ხმა და, ამ უჩვეულო აპარატიდან მანეჟზე დინჯად გადმოდის „მთვარიდან დაბრუნებული" კლოუნი ო. პოპოვი. ოლეგი ჯერ ირგვლივ მიმოიხედავს, შემდეგ უშველებელ უჯრედებიან კეპს იხდის და მაყურებელს ესალმება. პასუხად სიცილი ისმის და ეს სიცილი მთელ საღამოს არ წყდება.

გონებამახვილი და მხიარული კლოუნი ოლეგ პოპოვი მაყურებელს იზიდავს ბავშვური უშუალობით, ნათელი, ჯანსაღი ღიმილით. მისი იუმორი ყოველთვის კეთილი და ოპტიმისტურია.

როგორ მიაღწია ყოველივე ამას? როგორ გახდა დიდი კლოუნი? რით გაითქვა სახელი? ამ კითხვებზე თვით ოლეგმა გვიპასუხა. მას სამსახიობო საპირფარეშოში მაშინ ვეწვიეთ, როცა პატარა რკინის ნაჭერს გულდაგულ ქლიბავდა.

— როგორც ჩანს, თქვენ კარგი ხელოსანიც ყოფილხართ. — გაკვირვებით მივმართეთ მასპინძელს.

— ერთ დროს ზეინკალი ვიყავი. ახლა ეს საქმე ძალზე დიდ დახმარებას მიწევს. — ღიმილით გვიპასუხა პოპოვმა.

საუბარი მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ჩამოვაგდეთ. ოლეგმა მოკლედ გვიამბო:

— დავიბადე 1930 წელს, მოსკოვის ოლქის კუნცევოს რაიონის სოფელ ვირუბოვოში. სწავლა მოსკოვის 155-ე სკოლაში დავიწყე. მამა ადრე გარდამეცვალა. დედა რეტუშორად მუშაობდა. მალე დიდი სამამულო ომი დაიწყო. ცხოვრება ძალძე გაგვიჭირდა. ამიტომ, შვიდწლედის დამთავრების შემდეგ, მოვეწყე გაზეთ „პრავდის" პოლიგრაფიულ კომბინატში ზეინკლის მოწაფედ. ოსტატის დახმარებით დავეუფლე



ხელსაწყოებს, ვამონტაჟებდი რთულ პოლიგრაფიულ მანქანებს. სამუშაო საკმაოდ მძიმე იყო, მაგრამ ომი იყო და, სამშობლოს დაცვაში მეც შემქონდა ჩემი წვლილი.

საერთოდ, მსახიობზე ამბობენ ხოლმე, პატარაობიდანვე ოცნებობდა თეატრზეო. ზოგიერთი ისე მიეჩვია ამ ფრაზას, რომ მას დიდ მნიშვნელობას არც კი ანიჭებს. ამ სიტყვის მიღმა კი დიდი აზრია: წარმატებას ის აღწევს, ვინც ხელოვნებას მთელი გულით შეიყვარებს, ვინც თავის ცხოვრებას სცენას შესწირავს, ვინც ბავშვობიდანვე ოცნებობს თეატრზე. მეტწილად ეს ცირკის მსახიობს ეხება. 17 წლის ოლეგი უკვე მანეჟის პროფესიული მსახიობი ხდება. მართალია, მას სიყმაწვილეში მსახიობობაზე არ უფიქრია, მაგრამ წამოიზარდა თუ არა, მთელი თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი შეგნებული ცხოვრება ცირკს დაუკავშირა.

მომავალი მსახიობი მოსკოვში „დინამოს" სტადიონის მახლობლად ცხოვრობდა. აქ ხშირად უყურებდა სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებას. ბიჭმა შეიყვარა ფეხბურთი, სპორტი, დილის გამამხნევებელ ვარჯიშს სისტემატურად ასრულებდა. ოლეგი 13 წლისა იყო, როცა მოსკოვის „კრილია სოვეტოვის" სპორტული კლუბის აკრობატთა წრეში დაიწყო ვარჯიში. აქ ოლეგი და მისი თანატოლი ბიჭები სწავლობდნენ ხტომას, ყირის გაჭიმვას, სალტოს კეთებას, ტაიჭზე, ორძელზე, რგოლებზე და სხვა იარაღებზე ათასნაირი ილეთების შესრულებას. მაგრამ ომის მძიმე დღეებმა ბევრი მათგანი ჩამოაშორა ამ საქმეს. ჯგუფს ჯერ სამი ბავშვი გამოაკლდა, შემდეგ — ოთხი, ბოლოს ხუთიღა დარჩა. ისინი სიძნელეებს არ შეუშინდნენ. ჯგუფი კარგად გაიწაფა და მალე ჰოსპიტლებში, დაჭრილ მებრძოლთა წინაშე დაიწყო გამოსვლა. წარმოდგენის შემდეგ პატარა აკრობატებს ჯარისკაცები ულუფით, — ქაშაყითა და წიწიბურას ფაფით უმასპინძლდებოდნენ. ოლეგმა სწორედ აქ იგემა პირველად სცენური წარმატების სიტკბო.

გადიოდა დრო. ოლეგი თანდათან ოსტატდებოდა. მაგრამ კლუბი აღარ აკმაყოფილებდა და, ამიტომ, 14 წლის ბიჭი საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში შევიდა. აქ, ფიზიკურ წვრთნასთან ერთად, ბავშვები საშუალო სკოლის პროგრამას გადიოდნენ.

ერთ ზაფხულს სასწავლებლის უმცროსი ჯგუფის ბავშვები ქალაქგარეთ ბანაკში გაიყვანეს. მათ წითელ მოედანზე ფიზკულტურის პარადისათვის ამზადებდნენ. შესვენების დროს ოლეგის ერთმა ამხანაგმა ორ ხეს შუა მავთული გაჭიმა და ზედ სირბილი დაიწყო. ჯამბაზობა ოლეგმაც სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა — ჩამოვარდა, მაგრამ ამას არ შეუშინდა. დაბრუნდა თუ არა მოსკოვში, თავის ეზოში გააბა მავთული და დაიწყო შეუპოვარი ვარჯიში. მალე მიზანსაც მიაღწია — თავისუფლად დადიოდა ბაგირზე. ამ დღიდან ეკვილიბრისტიკაში დაიწყო მომზადება. ეკვილიბრისტიკა ლათინურად წონასწორობის დაცვას ნიშნავს. იგი საცირკო ჟანრის, აკრობატიკისნაირსახეობაა. ეკვილიბრისტი განსაკუთრებულ ძნელ პირობებში (მავთულზე, ბურთზე) სხეულის წონასწორობის დაცვის ოსტატია. ოლეგი ამ



რთულ ჟანრს ისე დაეუფლა, რომ ვარჯიშებს იუმორით ასრულებდა. მისი პლასტიკური და ამავე დროს მოჩვენებითად ტლანქი მოძრაობა ღიმილს ჰგვრიდა მნახველს.

1950 წელს ოლეგმა სასწავლებელი დაამთავრა და მალე ახალგზრდა მსახიობი თბილისში გამოგზავნეს. „ეკვილიბრისტი თავისუფალ მავთულზე" — იუწყებოდა საცირკო აფიშა.

— ეს იყო 1951 წელს, — საუბარში გაიხსენა ოლეგმა. — მაშინ თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორად რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლადო კავსაძე მუშაობდა. იგი ყველასადმი ნამდვილ მამობრივ მზრუნველობას იჩენდა. ამიტომ „პაპა ლადოს" ვეძახდით. არასოდეს არ დამავიწყდება ეს კეთილი ადამიანი, რომელიც შიშისა და უხერხულობის დაძლევაში დამეხმარა. თბილისს ჩემს მეორე მშობლიურ ქალაქად ვთვლი, რადგან აქ შედგა ჩემი პირველი დებიუტი.

ნიჭიერი მსახიობი ახლა უკვე ოსტატურად ფლობს საცირკო ხელოვნების მრავალ ჟანრს, თვითონ არის ბევრი სცენის ავტორი, რეჟისორი, რეკვიზიტის შემქმნელი.

სხვათაშორის, საინტერესოა მისი ნიღაბისა და კოსტიუმის ამბავი. 1953 წელს კინოფილმ „გაბედულთა არენას" იღებდნენ. გადაღებაზე პოპოვიც მიიწვიეს. ერთხელ, საცდელი გადაღების წინ, კინორეკვიზიტის საწყობში უშველებელ მოჭადრაკებულ კეპს წააწყდა. მოეწონა, თავზე დაიდო და იმ დღიდან აღარც მოუშორებია. მერე, მოსკოვის ცირკის მხატვრის, — ა. სუდაკევიჩის წინადადებით, რუსული ხიფთანის მსგავსი, ხავერდის ოდნავ ფართო პიჯაკი, თეთრი პერანგი, განიერი შარვალი, და მრგვალცხვირიანი ფეხსაცმელი შეიკერა. საინტერესოა მისი ნიღაბიც, — ეშმაკური თვალები, გულუბრყვილოდ დაღებული პირი და ოდნავ გამქირდავი გამოხედვა.

საინტერესოა მისი ინტერმედიები — სატირული სცენები: „ლექცია", „ექიმი", „სასტვენი", „ატელიეში", „ბოსტანში", „მზარეული" და სხვა მრავალი.

ო. პოპოვი ყოველ გამოსვლაში იუმორისტულად ჰბაძავს წინა ნომერს. ამგვარად, წარმოდგენაში იგი ინდივიდუალურ კომიკურ ელემენტად კი არა, საერთო პროგრამის ცალკეული ნომრების დამაკავშირებელ რგოლად გვევლინება.

საერთოდ, ნომრებს შორის არსებული პაუზების კომიკური სცენებით შევსება ბევრს იძლევა. მაყურებელი, დაძაბულად რომ ადევნებს თვალყურს რთული ილეთების შესრულებას, იღლება და იძაბება. სიცილი კი ასვენებს და მომდევნო ნომერს უფრო კარგად აღიქვამს.

ო. პოპოვი სწრაფად მიიწევდა წარმატების მწვერვალისაკენ. 1957 წელს მას რსფსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიაკუთვნეს. იმავე წელს ვარშავაში გამართულ ცირკების საერთაშორისო ფესტივალზე ჟიურიმ კლოუნს ორი ოქროს მედალი გადასცა, ერთი — საუკეთესო კომიკოსობისათვის, მეორე — შესანიშნავი ექსცენტრიკოსობისათვის.

სამშობლოში დაბრუნებულ მსახიობს სასიხარულო ამბავი დახვდა: ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობისათვის მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის საპატიო სიგელი გადაეცა.

დღითიდღე ფართოვდება მსახიობის საგასტროლო გეოგრაფია — შემოიარა საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქი, 1958 წელს მეორედ ეწვია თბილისს, იყო ევროპისა და ამერიკის მრავალ ქვეყანაში, გამოდიოდა ბრიუსელის, პარიზის, ლონდონის, ბერლინის, ვარშავის, ანტვერპენის, მარსელის, ლიონის, ლიეჟის, ოსტენდის, ჰამბურგის, მონრეალის, ჰავანის, ფილადელფიისა და სხვა ქალაქების მანეჟებზე და ყველგან მოწონებითა და სიმპათიით სარგებლობდა. ბელგიაში ყოფნისას ბრიუსელელმა პიონერებმა პოპოვი თავიანთ კლუბში მიიწვიეს და ბელგიის საპატიო პიონერად აირჩიეს. ბელგიის დედოფალმა ელისაბედმა კი სახელოვანი მსახიობი სადილზე მიიპატიჟა.

1958 წელს ბრიუსელში მსოფლიო გამოფენა გაიხსნა. ამ ქალაქში პოპოვი, საბჭოთა საცირკო დასთან ერთად, მეორედ ჩავიდა. აქ მას ოსკარის პრემია — „ფაიფურის დიდი სპილო" მიაკუთვნეს.

პოპოვის შემოქმედებას საზღვარგარეთის პრესა ფართოდ ეხმაურებოდა. ერთ-ერთმა რეცენზენტმა მას „მზიური კლოუნი" უწოდა და ახლა ამ სახელითაც იხსენიებენ მსახიობს ევროპაში. გაზეთ „უიკ-ენდის" კორესპონდენტი წერდა: „მისი წამბაძველობითი, კომიკური ნიჭი გვაფიქრებინებს, რომ პოპოვმა სიცილის კონსერვატორია დაამთავრა..."

ამჟამად კლოუნი ახალ რეპრიზებზე მუშაობს და სულ მალე მანეჟზე ახალი რეპერტუარით გამოვა.

საუბრის დასასრულს ოლეგმა ღიმილით გვითხრა:

— ცნობილი რუსი მსახიობი, მ. სავინა ამბობდა, — სცენა ჩემი ცხოვრებაა. მეც მინდა ამდაგვარად ვთქვა, — არენა ჩემი ცხოვრებაა!









კითხვა ? პასუხი

# ხატოვანი დამწერლობიდან ასო-ბგერით დამწერლობამდე

ვუპასუხებთ დაბა სურამის 1-ლი საშ. სკოლის მოსწავლეების ნანა ნაჭყებიას, თამილა გელაშვილისა და თენგიზ ახალაიას შეკითხვაზე.

ადამიანთა ურთიერთობის ძირითადი საშუალება, როგორც ცნობილია, ბგერითი მეტყველებაა. თუმცა ბგერითი მეტყველების შესაძლებლობები თითქმის ამოუწურავია, მას მაინც აქვს ორი არსებითი ნაკლი: შეზღუდულია დროითა და სივრცით — ლაპარაკი ისმის მხოლოდ საუბრის მომენტში და ისიც განსაზღვრულ მანძილზე. ბგერითი მეტყველების ამ ნაკლოვანებას ავსებს დამწერლობა, რომელსაც მოეპოვება საშუალებები ნააზრევ-ნალაპარაკევის ფიქსირებისა (დაწერა) და თითქმის მუდმივად შენახვისა. წერილობით გაფორმებული აზრი ფაქტიურად შეიძლება გადაიცეს განუსაზღვრელ მანძილზე. არსებობს წარწერები, რომლებიც რამდენიმე ათასი წლის წინათ არის შესრულებული. ამგვარად, დამწერლობა ადამიანთა ურთიერთობაში ბგერითი მეტყველების დამხმარე საშუალებაა. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ დამწერლობის უქონლად თანამედროვე ცივილიზაციას არ ექნებოდა ისეთი სახე, როგორიც აქვს. დამწერლობას, ისევე, როგორც ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას, გავლილი აქვს განვითარების საკუთარი გზა, უმარტივესი სახიდან სრულქმნილ ფორმებამდე. ამასთან, თუ ადამიანის ისტორია რამდენიმე ასეულ ათას წელს მიითვლის, დამწერლობის უმარტივესი სახეები მხოლოდ ამ 8-9 ათასი წლის წინათ გაჩენილა.

დამწერლობა პირველად იმ ქვეყნებში წარმოიშვა, სადაც ჩასახვა იწყო ქონებრივმა და სოციალურმა უთანასწორობამ, კერძო საკუთრებამ და კლასებმა, სადაც შეიქმნა შედარებით კარგი პირობები ვაჭრობის უმარტივესი ფორმების განვითარებისათვის.

. დადგენილია დამწერლობის ოთხი ძირითადი ტიპის არსებობა: პიქტოგრაფიული ანუ ხატოვანი, იდეოგრაფიული, მარცვლოვანი და ასო-ბგერითი.

უძველესი და უმარტივესია ხატოვანი დამწერლობა. იგი იმდენად მარტივი და დაუდგენელია, რომ ზოგიერთი მკვლევარი არცკი მიიჩნევს დამწერლობად, რადგან იგი გადმოსცემს მხოლოდ შინაარსს და ვერ ახერხებს ენის ფორმის გადმოცემას. ხატოვანი დამწერლობისათვის დამახასიათებელია ერთი გარკვეული ნიშნით (ნახატით) მთელი ცნების დასრულებული აზრის გადმოცემა. მაგრამ შეიძლება მოცემული ნახატის მრავალ ვარიანტად გააზრება, მასში სხვადასხვა შინაარსის წარმოდგენა. ხატოვანი დამწერლობის წარმოქმნის დროდ ნეოლითიდან ენეოლითზე გარდამავალ ხანას მიიჩნევენ. ეს დრო ჩვენგან 7-8 ათასი წლით არის დაშორებული, მისი უძველესი ნიმუშები დადასტურებულია ნილოსის დაბლობზე (ეგვიპტე), მესოპოტამიაში (შუმერი), შორეულ აღმოსავლეთში (ჩინეთი). იგი გვიანობამდე შემორჩა ამერიკელ ინდიელებში, ჩრდილოეთის ხალხებში და ა. შ.

საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი დაწინაურება, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის შედარებით რთული ფორმების წარმოქმნა საჭიროს ხდის დამწერლობის გაუმჯობესებასა და სრულქმნას, რაც ხატოვანი დამწერლობისაგან იდეოგრაფიუ-




უძველესი ფინიკური და ებრაულ-მოაბიტური ასოები. ფინიკური წარწერა X-XI ს. ჩ. ერამდე.




მარცვლოვანი დამწერლობის ნიმუში. კვიპროსი.

| Форма буквы | Название буквы | Значение названия | Значение буквы | Форма буквы | Название буквы | Значение названия | Значение буквы |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 𐤀 | 'алеф | вол | ' | 𐤋 | ламед | жало | л |
| 𐤁 | бет | (дом) | б | 𐤌 | мēм | вода | м |
| 𐤂 | гимель | верблюд | г | 𐤍 | нӯн | (рыба) | н |
| 𐤃 | далет | (дверь) | д | 𐤎 | самех | подпорка | с |
| 𐤄 | хе | значение не ясно | h | 𐤏 | 'айн | глаз | ' |
| 𐤅 | вав | гвоздь | в | 𐤐 | пē | рот | п |
| 𐤆 | зайн | (оружие) | з | 𐤑 | цāдē | значение не ясно | ц |
| 𐤇 | хēт | ограда | х | 𐤒 | коф | обезьяна | к |
| 𐤈 | тēт | груз | т | 𐤓 | реш | голова | р |
| 𐤉 | йод | рука | й | 𐤔 | шин | зуб | ш |
| 𐤊 | каф | (ладонь) | к | 𐤕 | тав | знак | т |

ასო-ბგერითი დამწერლობის ნიმუში, ფინიკიური ალფავიტი.




იდეოგრაფიული დამწერლობის ნიმუში. შუმერი.




იდეოგრაფიული დამწერლობის ნიმუში. კრეტა.

ლი დამწერლობის წარმოქმნით გამოიხატება (ეგვიპტე, შუმერი, ჩინეთი, ინდოეთი, კ. კრეტა და ა. შ.).

იდეოგრაფიული დამწერლობისთვის დამახასიათებელია ერთი ნიშნით მხოლოდ ერთი სიტყვის გადმოცემა. ასე რომ, წინადადება ნიშნებისაგან შედგება. მაგრამ ეს დამწერლობა, რომელიც 5000 წლის წინათ (ძვ. წ. III ათასწლეულში) გაფორმდა, გამოირჩეოდა დიდი სირთულით, ნიშნების სიმრავლით, გრამატიკული ფორმების გადმოცემის საშუალებათა სისუსტითა და განუვითარებლობით. ამის გამო ხდება დამწერლობის შემდგომი სრულქმნა, რის შედეგიც იყო ე. წ. მარცვლოვანი დამწერლობის გაჩენა. როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, აქ ცალკეული ნიშანი მთელ სიტყვას კი არ აღნიშნავს, არამედ მხოლოდ მის ნაწილს — მარცვალს. მარცვლოვანი დამწერლობის ჩასახვა უკვე III ათასწლეულშივე იწყება (შუმერული), მაგრამ მისი საბოლოო გაფორმება ძვ. წ. II ათასწლეულში (ასირო-ბაბილონი, კ. კრეტა, კ. კვიპროსი) და I ათასწლეულის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა (ურარტუ, აქემენიდური სპარსეთი).

სამეურნეო ცხოვრების კიდევ უფრო გართულება, სავაჭრო-ეკონომიური კავშირების გაცხოველება და გაფართოება საჭიროს ხდის დამწერლობის კიდევ უფრო გამარტივებასა და სრულქმნას. ასეთი ვითარება ყველაზე უკეთ გამოხატული იყო ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანების ფინიკიაში, რამაც ფინიკიელები მიიყვანა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს აღმოჩენამდე — ასო-ბგერითი დამწერლობის შექმნამდე.

შემდეგში ფინიკიურ დამწერლობას გაეცნენ ბერძნები, რომელთაც მას ხმოვანების აღსანიშნავი ნიშნები დაუმატეს. ეს ნიშნები ფინიკიურს არ გააჩნდა და ძირითადად დაამთავრეს ასო-ბგერითი დამწერლობის გაფორმება. თავის მხრივ, ბერძნული ანბანი შემდეგში დასაბამს აძლევს ლათინურ, ეტრუსკულ, სლავურ დამწერლობას.

ასო-ბგერითი დამწერლობისათვის დამახასიათებელია ნიშნების მინიმალური ოდენობით, აზრის ზუსტი გადმოცემა, მისი სრული ფიქსირება, ენის ფორმების სრულქმნილად ასახვა და ბგერითი მეტყველების სიახლოვისაკენ სწრაფვა. ამ მხრივ ერთი სრულქმნილთაგანია ქართული დამწერლობა, რომელსაც არ შეუნახავს არცერთი ფუნქციადაკარგული, ან სახენაცვალი სამწერლობო ნიშანი. ქართული ისტორიული ტრადიცია ქართული დამწერლობის შექმნას ძვ. წ. IV და III საუკუნეების მიჯნით ათარიღებს, მაგრამ, სამწუხაროდ, წერილობითი ძეგლები, ჯერჯერობით, მხოლოდ V საუკუნისა გვაქვს.

**დ. ხახუტაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.




ჩრდილო ამერიკის ინდიელთა დამწერლობის ნიმუში. (პიქტოგრაფიული დამწერლობა)

## იცნობ თუ არა შენ მშობლიურ მხარეს?

**მოგვწერეთ:**

რა არის ამ ფოტოზე გამოსახული.

სად მდებარეობს იგი.

როდის არის აგებული და რა ისტორიულ მოვლენებთან არის დაკავშირებული მისი ისტორია.

იცნობ თუ არა შენ მშობლიურ მხარეს?



# თბილისის უნივერსიტეტი

თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში დაიბადა მოწინავე ქართველ ინტელიგენციას. ეს საკითხი პირველად 1881-82 წლებში წამოუჭრია თვალსაჩინო განმანათლებელს სოლომონ დოდაშვილს.

თბილისში უნივერსიტეტის დაარსებისათვის თავდადებით იბრძოდა ქართული კულტურის გამოჩენილი მოამაგე დიმიტრი ყიფიანი. პროგრესულ ჟურნალებსა და გაზეთებში ბევრჯერ მოითხოვდნენ თბილისში უნივერსიტეტის გახსნას, მაგრამ მეფის მთავრობა ყოველგვარად აბრკოლებდა ამ წამოწყებას. ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, დავით სარაჯიშვილი, ნიკო ცხვედაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები ფართო პროპაგანდას უწევდნენ უნივერსიტეტის გახსნის იდეას.

1879 წელს თბილისში ქართული სკოლა დაარსდა. იგი იმთავითვე იზიდავდა სწავლასმოწყურებულ ქართველ ბავშვებს. 1888 წელს სკოლა პროგიმნაზიად გადაკეთდა, ხოლო 1899-1900 წლებში — სათავადაზნაურო გიმნაზიად. 1897 წელს ნიკო ცხვედაძემ მისთვის ახალი შენობის აგების თაოსნობა იკისრა.

ვაკის რაიონში, ვარაზისხევთან შეიძინეს 14.000 კვადრატული საჟენი მიწის ნაკვეთი, ევროპიდან გამოიწერეს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებათა პროექტები. შენობის დასაპროექტებლად 1899 წელს ცხვედაძემ სპეციალურად მოიწვია ნიჭიერი, ახალგაზრდა არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი. 1900 წელს დამუშავდა შენობის საბოლოო პროექტი და 14 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში საფუძველი ჩაეყარა შენობას. შენობის მოცულობა იმ დროისთვის მეტად დიდი ჩანდა და ამიტომ ბევრს არა სჯეროდა, რომ დამთავრებას შესძლებდნენ. მით უმეტეს, რომ ძალზე უჭირდათ სახსრები. მაგრამ ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დახმარებით მშენებლობა მაინც წინ მიდიოდა.

ჯერ ორსართულიანი შენობის აგება უნდოდათ, შემდეგ ერთი სართული დაამატეს, ბოლოს შენობა ოთხსართულიანი გამოვიდა.

ქართული გიმნაზიის ახალი შენობა სათავადაზნაურო ბანკის შემწეობით შენდებოდა, სახელმწიფოს კაპიკიც არ გაუღია.

მშენებლობა 1906 წელს დამთავრდა. იმავე წელს ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია ახლანდელი ძერჟინსკის ქუჩიდან ახალ შენობაში გადავიდა.

1918 წლის 8 თებერვალს ამ შენობაში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა.

არქიტექტორ მ. შავიშვილის პროექტით 1934 წელს დაიწყო და 1938 წელს დამთავრდა ე. წ. მეორე კორპუსი (ფასადი). შენობა შეზნექილია, სვეტებითა და მბრუნავი გუმბათითაა დამშვენებული. მან, პირველ კორპუსთან ერთად, ერთი მთლიანი ლამაზი ანსამბლი შექმნა.

შემდეგ უნივერსიტეტს რამდენიმე სხვა შენობაც შეემატა. საიუბილეო დღეებში კი ათასობით სტუდენტმა შეაღო უნივერსიტეტის ახალი, დიდებული, მრავალსართულიანი კორპუსის კარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ზამთრობენ ცხოველები

მკაცრი, ცივი და შეუბრალებელია ზამთარი, თითქოს წელიწადის სხვა დროებზე გაჯავრებულს, ყოვლისშემძლედ მოაქვს თავი!

მართლაც, ზამთარს მოაქვს თოვლი, ყინვა და სუსხი. ცოცხალ არსებას სიარულს უძნელებს, უბოჯავს სუნთქვას და აძაბუნებს. ყველა ამას ემატება ბუნებაში საკვების სიმცირე და მისი მოპოვების სიძნელე.

ცხოველები გაანაწყენიანა ზამთრის ბუნების ასეთმა დაუნდობლობამ, მაგრამ მათი გულისწყრომა რას უშველიდა?! ცხოველები „საგონებელში“ ჩავარდნენ, ზამთართან პირდაპირი შებრძოლება მათ კარგს არაფერს მოუტანდა. ზამთარმა შეაფიქრიანა ისეთი ძლიერი და მტაცებელი ცხოველიც კი, როგორიც არის დათვი. „იფიქრა, იფიქრა“ და „მოიფიქრა“ დათუნიამ, რომ საჭირო იყო ზაფხულის გრილბეწვიანი ქურქი ახალი, თბილი, გრძელბეწვიანი ქურქით შეეცვალა. მართლაც ასე მოიქცა. საზამთროდ თბილ ქურქში გამოეწყო. იფიქრა, ზამთარი დავამარცხე და თავისუფლად, ჩემს ნებაზე ვივლი ტყე-ტყეო. მაგრამ ახლა შიმშილმა შეაწუხა. გაუძნელდა თოვლში საკვების მოპოვება და ცოტას დააკლდა, შიმშილმა არ მოუღო ბოლო. მაშინ დათვმა ისევ ჭკუა იხმარა და შემოდგომაზე ისე ძღომაზე ჭამა მცენარეული ნაყოფი და ხორცეული, რომ დათვს კანქვეშ და ნაწლავებში ბევრი ცხიმი დაუგროვდა, რამაც სითბოც შემატა. რაკი სიცივე და შიმშილი აღარ აწუხებდა, ზამთრის ძილი მოერია, მაგრამ ბუნაგში მანამდე არ დაწვა, სანამ პირველი თოვლი არ ჩამოჰყარა. თოვლი იმის კვალს დაფარავდა და არხეინად დაიძინებდა. დათვი ბუნაგს წინასწარ იმზადებს მიუვალ ადგილებში, ჩახერგილ ხევებში, ან დიდ ფუღურო ხის ძირში. დათვი ისე წვება ბუნაგში, რომ ზურგი გარეთა აქვს, თითქოს ზამთარს ზურგი შეაქცია და გაებუტაო. ზამთრის ჯიბრზე, მზიან და უთოვლო ამინდში გარეთაც გამოდის და სუფთა ჰაერზე დასეირნობს. დათვი ღრმა ძილით არ იძინებს, ამიტომ მისი სხეულის ტემპერატურა ძალიან დაბლა არ ეცემა. მას შეუძლია შეიგრძნოს გარემოში მომხდარი ცვლილებები და ხიფათის მოახლოების შემთხვევაში ბუნაგიდან გაიქცეს კიდეც და სხვაგან შეაფაროს თავი.

დათვის ზნე მაჩვსაც ჭკუაში დაუჯდა, იმანაც შეიცვალა ქურქი, დაიგროვა ორგანიზმში ცხიმი, მიწაში გრძელი და მოხერხებული სორო გათხარა, მოაფინა მშრალი ფოთლები და შიგ ჩაიმალა. იგი უფრო ადრე იძინებს, ოქტომბრის ბოლოს უკვე შუაგულ ძილშია და მთელ ზამთარს ბუნაგში ატარებს. მაჩვის ცხოვრების წესს ჩვენში მისდევს: ძილგუდა, ზაზუნა, ზღარბი და ღამურა.

ზოგიერთი ღამურა ზამთრის პირზე შორეულ მხარეს მიფრინავს, ადგილზე დარჩენილები კი ღრმა ძილს ეძლევიან. ღამურები ერთად ჯგუფდებიან და თავს ან გამოქვაბულებს, კლდის ნაპრალს, ანდა ხის ფუღუროს აფარებენ. ჩამოეკიდებიან ფეხით რამეს, გაეხვევიან ფრთებში და ასე თავდაყირა დაკიდებულები ეძლევიან ზამთრის ღრმა ძილს. რა არის ზამთრის ძილი? ზამთრის ძილის დროს ცხოველი არ იკვებება გარემოდან. ჩვეულებრივი ძილისაგან განსხვავებით, ზამთრის ძილის დროს სასიცოცხლო პროცესების მნიშვნელოვანი შემცირება ხდება (დათვი, მაჩვი და სხვა), ზოგიერთი კი თითქოს კვდებაო, მაგალითად, ღამურა. დათვი ძილის დროს მაინც სუნთქავს, გული უცემს და სისხლიც მოძრაობს. ჯერჯერობით ძილის დროს მისი სხეულის ტემპერატურა დადგენილი არ არის. ვერავინ გამოჩნდა ისეთი გულადი, რომ თერმომეტრით ტემპერატურა გაუზომოს. ამ მხრივ მცირე ძუძუმწოვრებზე დაკვირვება უფრო ადვილად ხერხდება და არც საშიშია. ღამურაზე დაკვირვებებმა გვაჩვენეს, რომ ძალიან კლებულობს მისი გულისცემა და სუნთქვა. მისი სხეულის ტემპერატურა ჩვეულებრივი — 37,3°C-სია, ძილის დროს კი +4,1°C-მდე ეცემა.

ღამურა ისე ღრმა ძილს ეძლევა, რომ გარემოს უცაბედი ცვლილებები მასზე ვერ მოქმედებენ, მაგრამ თუ მას სითბოში მოვათავსებთ და თანდათანობით ტემპერატურას მოვუმატებთ, გარკვეული დროის მერე გამოფხიზლდება.

თაგვისებური მღრღნელები არ იძინებენ, მაგრამ ზამთრისათვის საკვების იმდენ მარაგს იმზადებენ თავიანთ სოროებში, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში თავს ასდით. ამიტომ თოვლში ზემოთ ამოსვლა არ უხდებათ და არხეინად ატარებენ ზამთარს სოროებსა და თოვლქვეშ.

თხუნელა ძალზე მოხერხებულად არის მომზადებული გამოსაზამთრებლად. მასაც ეცვლება ქურქი, თუ ზაფხულობით მიწის ზედაპირთან ახლოს ცხოვრობს და ბალახის ძირებით, მწერებითა და მატლებით იკვებება, ზამთრობით, როცა ბალახი ხმება, ხოლო მატლები მიწის სიღრმეში მიძვრებიან, ისიც თავისი დინგითა და ლაფტისებური წინა თათებით თავის მიწისქვეშა, ერთმანეთში გადახლართულ „დერეფნებს“ სიღრმისაკენ წარმართავს ხოლმე. ნიადაგში მოძრაობის დროს ჭიები და მატლები ამ „დერეფნებში“ ცვივიან და თხუნელაც სიამოვნებით შეექცევა სანუკვარ საუზმეს.

გაზაფხულზე, როცა ჭიებისა და მატლების „ქარავანი“ სიღრმიდან ზედაპირისაკენ ინაცვლებს, თხუნელაც უკან მოჰყვება.

ზამთარმა დააფიქრა მელა, მგელი, გარეული კატა, ფოცხვერი, ტურა... საზამთროდ ესენიც თბილ ქურქში ეწყობიან და მიაშურებენ თავიანთ სოროს ან კლდის ნაპრალს, მაგრამ ვერახერხით ზამთრის საზრდო ვერ მოიმარაგეს. ამიტომ ისინი მთელი ზამთრის განმავლობაში ღობე-ყორეს ედებიან, ტაციობასა და ქურდობაზე უჭირავთ თვალი. დასუნსულებენ ტყე-ღრეში, იქნებ საკბილოს რამეს გადავეყაროთო. მგლისა და მელიისაგან მოსვენება არა აქვთ ფარეხში ცხვარსა და საქათმეში — ფრინველს. ტურა მათ უკან მიჩანჩალებს და, თუ რამე გადარჩათ, ნასუფრალს მოულხენს ხოლმე.

საცოდავ კურდღელს ზამთარი ჭამის მადას უკარგავს,

ამიტომ ჩირგვებსა და ბუჩქის ძირებში შემორჩენილ ბალახს და ნეკერს შეექცევა. საკვების მოპოვებისათვის მელას, მგელს, ფოცხვერს, კვერნას დიდი მოთმინებისა და სწრაფი თავდასხმის უნარი გამოუმუშავდათ.

მოქნილი და მოხერხებულები არიან კვერნა და ფოცხვერი. მათ დღისით და ღამითაც შეუძლიათ ნადირობა, ამიტომ თავიც შედარებით ადვილად გააქვთ.

თავის სილამაზით და ზამთრის თბილი, ლამაზი ქურქით კვერნას და ფოცხვერს არც ციყვი ჩამორჩება, მისი ფუმფულა კუდი, ხეებზე მარჯვე ხტომა და დაუღალავი ფუსფუსი ყველას ყურადღებას იქცევს. ადგილობრივმა კავკასიურმა ციყვმა ხის ფუღუროში დაიდო ბინა, შემოყვანილი ტელეუტისა და ალტაის ციყვების უმრავლესობა კი ბუდეს ხეზე, წვრილ ტოტებისაგან იკეთებს და ზედ ხავსის ან ჩიტის მიტოვებული ბუდის ჩალა-ბულას მოაფენს ხოლმე.

ციყვს ძალიან ეშინია ზამთრის სუსხისა, ყველაზე მეტად კი — შიმშილისა. ამიტომ მთელი წლის განმავლობაში დაფუსფუსებს, — ზამთარი არ მომეპაროსო; აგროვებს და აგროვებს კაკალს, თხილს, წაბლს, წიფელს და შესანიშნავი ოსტატობით აწყობს შესანახად შერჩეულ ადგილებში. ამბობენ, რომ ციყვის მოგროვილი საკვების მარაგი ხშირად ორ კილოგრამამდე აღწევსო. იგი იმდენ მარაგს იკეთებს, რომ სხვა ცხოველსაც ხელს უმართავს. ციყვს ხშირად ავიწყდება სად შეინახა მარაგი და საპოვნელად დაფუსფუსებს. თუ ციყვმა საკვების სიმცირე შეამჩნია, მაშინ ის, სანამ ზამთარი დადგებოდეს, მანამ სტოვებს იქაურობას და მიდის საკვებით უხვ ადგილებში.

ზამთრისათვის ტყის ყველა ცხოველი იცვლის ბეწვს. ასევე იქცევიან ტყის საამაყო ბინადრები: შველი, ირემი, არჩვი და ჯიხვი. ესენიც ორგანიზმში იმარაგებენ ცხიმს, მაგრამ იმდენს არა, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში ეყოთ. ამიტომ ჩლიქოსან ცხოველებს ზამთარში დიდი გაჭირვებით უხდებათ ბუნებაში საკვების მოპოვება.

ისინი ზამთრობით დიდ და პატარა ჯოგებად ცხოვრობენ და ხშირ, გალაღებულ ტყეებს აფარებენ თავს. ჯოგური ცხოვრება მათ უადვილებთ არსებობისათვის ბრძოლას, თავდაცვას და ამასთან თბილადაც არიან.

ყველა ჩამოთვლილი ჩლიქოსანი ცხოველი, განსაკუთრებით კი ირემი და შველი, ზამთარს მხოლოდ ტყეში ატარებს. მათ ღრმა თოვლში სიარული უძნელდებათ. ნელა-ნელა გადაჩიჩქნიან თოვლს და ქვეშ მოქცეულ მწვანე ან ხმელი ბალახით იკვებებიან. უმთავრესად ნეკერს შეექცევიან, გაჭირვების შემთხვევაში კი ხის ქერქსაც არ იწუნებენ.

ჯიხვსა და არჩვს, ირმისა და შვლისაგან განსხვავებით, ალპური ზონის კლდეებშიაც შეუძლიათ გამოზამთრება, თუ მათი ზაფხულის სამყოფელის ახლომახლო ტყე არ არის, როგორც ეს, მაგალითად, ყაზბეგში — თრუსოს ხეობაში ხდება. მაგრამ თუ ტყე ახლო არის, მაშინ ის ტყეს აფარებს თავს, ისე, როგორც იქცევიან ლაგოდეხის ნაკრძალის ჯიხვი და არჩვი.

როგორც ვთქვით, ჩლიქოსნებს უჭირთ ღრმა თოვლში სიარული, მაგრამ ზოგჯერ ამ დაბრკოლებასაც დასძლევენ ხოლმე.

„გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“ — სწორედ ასეა იმათი საქმე. ჯიხვის ცხოვრების ნირის მცოდნემ, ზოოლოგმა ზაქრო ჩლაიძემ გვიამბო მთათუშეთში მომხდარი ერთი საინტერესო შემთხვევა. ჩიღოს მთაზე მან ნახა ხუთი ჩამწკრივებული ხარჯიხვი როგორ მიარღვევდა ღრმა თოვლს, ჯერ წინ მიმავალი არღვევდა თოვლის საფარს და გზას უკვალავდა მომდევნო ჯიხვებს; ერთხანს ასე მიიწევდნენ. შემდეგ, როცა წინ მიმავალ ჯიხვს დაღლილობა შეემჩნა, მომდევნო ჯიხვი მოხერხებულად გადაევლო ზურგზე წინას, ადგილი უნაცვლა და ახლა მან განაგრძო თოვლის გარღვევა. ასე გადაიარეს ჯიხვებმა ყელამდე თოვლი და თვალს მოეფარნენ.

ჯიხვისაგან განსხვავებით, არჩვს შეუძლია თოვლიან ფერდობებზე დაცურებაც. ზამთრობით ჩლიქოსანი ცხოველები ცუდად იკვებებიან. ამიტომ არის, რომ გაზაფხულობით ყველა ცხოველი წონაში დაკლებულია. ასე მაგალითად, თუ ჯიხვის საშუალო წონა შემოდგომაზე 120 კილოგრამია, გაზაფხულის პირზე მისი წონა 70-80 კილოგრამს აღწევს.

მათი დაცვის მიზნით იმ ადგილსამყოფელებში, სადაც ისინი იზამთრებენ, საკვებად შეაქვთ თივა და მარილი, რაც დიდად უწყობს ხელს ამ ცხოველების მომრავლებას.

ამგვარად, ზამთრისაგან ასე შეშინებული ცხოველები ტყემ დაამშვიდა. არც შეაცივა და არც მოაშივა. ტყეში ჰპოვებენ ისინი მშობლიურ მზრუნველობას და საიმედო თავშესაფარს. ტყე არის მათი სიცოცხლის მიმნიჭებელი.

ზამთარი ცხოველებს ვერას დააკლებს, თუ ტყე დღეგრძელია!

**გალინა ენუქიძე.**

## აინშტაინის ხელნაწერი

1938 წელს, ფაშისტების წინააღმდეგ ესპანელ რესპუბლიკელთა ბრძოლის დროს, ესპანეთის თავისუფლების მომხრე ამერიკის კომიტეტის წევრებმა დიდ მეცნიერს ალბერტ აინშტაინს სთხოვეს მათთვის გადაეცა „ფარდობითობის თეორიის“ ხელნაწერი, რომელიც 1905 წელს გამოქვეყნდა. მასში აღებული ფულით ანტიფაშისტები აპირებდნენ შეეძინათ საჭურველი „აბრაამ ლინკოლნის“ სახელობის მოხალისეთა ბატალიონისათვის. აინშტაინმა გაიგო თუ არა ეს, ძალზე დაღონდა. საქმე ის იყო, რომ მას აღარ ჰქონდა ხელნაწერი, იგი რედაქციაში დარჩენილიყო და, ეტყობა, სადღაც დაკარგულიყო. მაგრამ იმდენად დიდი იყო ჰუმანისტი მეცნიერის სურვილი დახმარებოდა გმირ ესპანელ ხალხს, რომ მან მახსოვრობით აღადგინა ოცდაათი წლის წინათ გამოქვეყნებული ტექსტი. ხელნაწერში დიდი თანხა აიღეს და სათანადოდაც გამოიყენეს. მოგვიანებით ეს ხელნაწერი ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკამ იყიდა და მასში ზღაპრული თანხა — 6 მილიონი დოლარი გადაიხადა.

# ცნობილ ადამიანთა
# ავტოგრაფები

გ. ორბელიანი



დ. კლდიაშვილი



ი. გოგებაშვილი.



გ. ტაბიძე



ა. ყაზბეგი



ი. გრიშაშვილი



კ. გამსახურდია



ს. ჩიქოვანი



პ. იაშვილი



ვ. გაბაშვილი



მარკების, ძველი მონეტების, სხვადასხვა ნივთის კოლექციის შედგენა, როგორც ცნობილია, ბევრ ადამიანს იტაცებს, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე მისდევს ცნობილ პიროვნებათა ავტოგრაფების ანუ ხელმოწერის კოლექციონირებას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ავტოგრაფების მოძებნას ბევრი დრო და შრომა სჭირდება, თანაც, კოლექციონირების ეს სახე სათანადო განათლებას და მხატვრობის ან ფოტოსაქმის ცოდნას მოითხოვს.

ხელმოწერამ უძველეს დროშივე მოიპოვა იურიდიული კანონის უფლება — წარმოადგენდეს ადამიანის პიროვნებას, მის საკუთარ „მეს", ე. ი. ხელმოწერა გაიგივებულია ადამიანთან. რატომ მიენიჭა მას ასეთი უფლება? იმიტომ, რომ ხელმოწერა უნებურად გადმოსცემს ადამიანის ხასიათს და თითქოს მისი შინაგანი სამყაროს სარკეა. არსებობს მეცნიერება გრაფოლოგია, რომელიც წერისა და ხელმოწერის ფსიქოლოგიას სწავლობს. მაგრამ ამ მეცნიერებამ სრულყოფას ვერ მიაღწია, რადგან იგი დაკავშირებულია ადამიანის შინაგანი ფუნქციების შესწავლის დიდ სიძნელეებთან. ადამიანის თავის ტვინისა და ნერვული სისტემის ფუნქციების დამახასიათებელი თავისებურებანი კი უდიდეს როლს ასრულებს წერასა და ხელმოწერაში: სწორედ მათ ემორჩილება ხელი წერისა და ხელმოწერის დროს.

იმის გამო რომ ამ ფუნქციების საიდუმლოებები ჯერ კიდევ არ არის ახსნილი, გრაფოლოგიას არ შეეძლო ხელმოწერის შესწავლის საკმაოდ სწორი მეთოდების მოცემა, და მათი საშუალებით — ადამიანის სულიერი „მეს" ამოკითხვა. ამიტომ ეს მეცნიერება ზუსტ მეცნიერებად არ იქნა მიჩნეული, თუმცა მის თვალსაჩინო მიღწევებს დაღებითად ეხმაურებოდა ბევრი დიდი გონების ადამიანი (დეკარტე, ლეიბნიცი, გოეთე, ჟორჟ სანდი, მაქსიმ გორკი და სხვები). მაგრამ გრაფოლოგიას თავისი მიმზიდველი ძალა მაინც არ დაუკარგავს, როგორც ფსიქოლოგების, ფილოსოფოსების, ექიმებისა და იურისტებისათვის, ისე სხვა სპეციალობის ადამიანებისათვისაც. ავტოგრაფი, წმინდა ფსიქოლოგიური მხარის შესწავლის გარდა, კალიგრაფიის, ასოების ურთიერთშეხამების თამამი, თავისებური მახერითაც არის საინტერესო.

ხელმოწერის შესწავლა, მისი კოლექციის შედგენა დიდად გვეხმარება ამა თუ იმ პიროვნების ყოველმხრივ გაცნობაში. იგი საგრძნობლად ავსებს ჩვენთვის საინტერესო ადამიანების ბიოგრაფიულ სახეს.

გთავაზობთ რამდენიმე გამოჩენილი მწერლის ავტოგრაფებს.

მ. ვადბოლსკი.

ა. პუშკინი



ნ. გოგოლი.



ა. ჩეხოვი



ა. ბლოკი



თ. დოსტოევსკი



მ. გორკი



ი. კრილოვი



ა. ნეკრასოვი





პატარა ნასვრეტებიანი ხის ფირფიცარი, შესანიშნავი საშუალებაა ქალების ფეხსაცმლის შესანახავად. აქვე მოგაგონებთ, რომ შენახვამდე ფეხსაცმელს არ აწყენს კარგად გაწმენდა.



თუ მანქანას „მეეზოვემ“ უღალატა, მძღოლი დაამშვიდე: დაფშვნას სიგარეტი და მინა თამბაქოთი გაწმინდოს. წვიმის წვეთები თავად ჩამოცვივა მინიდან.



თუ უთოს, ქვაბის ან სხვა ცხელი საგნების ლითონის ქვესადგარს: საფეხურებზე რეზინის მილს წამოაცმობთ, მაგიდა არა თუ არ დაიფხაჭნება, არამედ აღარც დაიწვება, რადგან რეზინი თბოიზოლატორის როლსაც შეასრულებს.



იმისათვის, რომ თქვენი უმცროსი და-ძმა ადრე შეაჩვიოთ სპორტს, კერძოდ, თხილამურებს, შეგიძლიათ ძველთაგანვე ცნობილი თამაში „ცხენობანა“ ასე გადააკეთოთ: თხილამურებს წვერზე თოკი მიამაგრეთ, მეორე ბოლო მხრებზე გადაიხვიეთ, თხილამურებზე მდგომსაც, მეტი სიმყარისათვის, ხელში თოკი დააჭერინეთ და შემდეგ... უკვე თქვენს გამძლეობაზე იქნება საქმე.



# ჟურნალ „პიონერში“ 1968 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი

## პოეზია


ჯ. როდარი — საზღვარგარეთ მიმავალი ჩქარი მატარებელი; პატარა ლექსი ზაფხულის ხვატსა და ქალაქელ ბავშვებზე; ეშელონი; ემიგრანტების მატარებელი; წვიმის შემდეგ; წნული ავეჯის ოსტატი პაწია ქალაქ ბენლუნოდან (ლექსები. თარგმანი მ. ლებანიძისა), № 1.
თ. ჯანგულაშვილი — ძეგლები (ლექსი), № 2.
ნ. კერესელიძე — საქართველო (ლექსი), № 1.
ჯ. მირზოევი — შენი ბედის ვარსკვლავი (ლექსი. თარგმანი გ. ძნელაძისა), № 2.
ნ. კილასონია — გაზაფხულის ფერები (ლექსი), № 3; აი, ეს არის შემოდგომა (ლექსი), № 11.
მსოფლიოს პოეტები დედას (ლექსები. თარგმანი მ. ფოცხიშვილისა), № 3.
ა. მარკოვი — ილიჩი (პოემა. თარგმანი ა. ბეგაშვილისა), № 4.
გ. კაჭახიძე — ამ ყვავილების ხათრით; შენ გაიხარე, მერცხალო (ლექსები), № 4.
დ. ივარჟავა — აპრილი — დიდი მხატვარი (ლექსი), № 4; დეკემბრის ფერები (ლექსი), № 12.
ტ. მებურიშვილი — როცა ხეები მზით გაბრუვდება (ლექსი), № 4; ვინც მამულისთვის... (ლექსი), № 10.
ა. აბულაშვილი — გათენება ალაზანთან; მეჯოგე (ლექსები), № 5.
ს. შამფრიანი — და ახლა... (ლექსი), № 6; ჩემი მამული (ლექსი), № 11.
ფ. ჰასანი — კატა-თაგვობანა (იგავი. თარგმანი გ. კაკაბაძისა), № 6.
ა. ონელი — სოკოობა; ვარდობისთვეშ დამაბარა; გაზაფხულის წვიმა (ლექსები), № 7.
ჯ. ნიჟაბაძე — არდადეგებზე (ლექსი), № 8.
ნ. კვიცინია — მძულს მარტოობა (ლექსი. თარგმანი ო. კუპრავასი), № 8.
მ. ფოცხიშვილი — პირველი კომკავშირული (ლექსი), № 10.
ს. ეული (ჭურიძე) — ახალგაზრდობავ, მედგრად წინ, მაღლა (ლექსი) № 10.
ა. მირცხულავა — ლენინური კომკავშირი (ლექსი), № 10.
ვ. გორგანელი — ვაშა კომკავშირს (ლექსი), № 10.
ფ. იანაკოპულუ — ელადის პირმშონი (ლექსი. თარგმანი ნ. გაბრიჩიძისა), № 11.


## პროზა, დრამა


ე. მარი — წითელი მამალი; ოთხთათა (მოთხრობები. თარგმანი დ. შენგელიასი), № 1.
რ. ჯაფარიძე — ჯიმარაის ტუსაღები (მოთხრობა), № 1.
ა. ზეგერსი — ოთხკუთხედი (მოთხრობა. თარგმანი ნ. გოგიჩაძისა), № 1.
ვ. თორდუა — საიდუმლო (მოთხრობა), № 2.
ი. კაზაკოვი — ნიკიშკას საიდუმლოება (მოთხრობა. თარგმანი ლ. ჩხეიძისა), № 2.
ლ. გოთუა — პალიასტომის სიზმარ-ცხადი (ნაწყვეტი რომანიდან „მითრიდატე“), № 3.
კ. კობერიძე — თოვლიანი ზამთარი (მოთხრობა), № 3.
დ. ბეიტსონი — წითელი საკერებელი (მოთხრობა. თარგმანი ნ. რუხაძისა), № 3.
გ. კეჟალმაძე — სამაგიერო (მოთხრობა), № 4.
ვ. ასლამაზიშვილი — ორი იროდიონი; ტყეში (მოთხრობები), № 4.
ჩ. პეტრესკუ (მოთხრობა. თარგმანი ლ. კანდელაკისა), № 4.
დედის თვალი (იაპონური ზღაპარი. თარგმანი თ. ჯავახიშვილისა). № 4.
თ. ჩხაიძე — ქარიშხლიანი ბილიკებით (მოთხრობა), № 5.
ჰ. კინჩერი — ლაქა ამერიკასთან (მოთხრობა. თარგმანი შ. ამირანაშვილისა), № 5.
კ. ტაბატაძე — გულთაზი, მეგობრები და მოდელი (მოთხრობა), № 6. 7.
გ. ფოისტელი — მედხლიონი (მოთხრობა. თარგმანი თ. ღლონტისა), № 6.
ლ. გვაზავა-სანაძე — ჩემი არდადეგები (მოთხრობა), № 7.
რ. ქორქია — პურის ნატეხი (მოთხრობა), № 7; ორმოცი კომკავშირელი (სამოქალაქო ომის ეპიზოდი), № 10.
ვ. ჩეკურიშვილი — გედეხაური (მოთხრობა), № 8, 9, 10, 11.
ალალად ნაშოვნი ფული (ნორვეგიული ზღაპარი. თარგმანი თ. ცაგარელისა), № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მ. მრევლიშვილი** — ღამე კრწანისზე (მოთხრობა), № 9.
**ნ. ოსტროვსკი** — როგორ იწრთობოდა ფოლადი (ნაწყვეტი რომანიდან. თარგმანი რ. ქორქიასი), № 10.
**ს. ვინოგრადსკაია** — „ბედნოტის“ შიკრიკი (მოთხრობა), № 11.
**გ. ჭიჭინაძე** — ჭრელი ბურთი (პიესა-ზღაპარი), № 11.
**თ. გოდერძიშვილი** — საოცარი თეთრი ქვეყანა (მოთხრობა), № 12.
**ვ. ტიტოვი** — დაჭრილი პრანწია (მოთხრობა. თარგმანი ნ. ფურცელაძისა), № 12.

## პ ი ო ნ ე რ უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

**ს. შამფრიანი** — მესხეთის მიწაზე (ნარკვევი), № 1.
**ვ. შჩეკოტოვი** — მტკიცე საბრძოლო მეგობრობა (ნარკვევი), № 3.
**დ. გოზალიშვილი** — დაუვიწყარი დღეები (ნარკვევი), № 8.
**მ. მზარელუა** — ოქროს ვერძის სამშობლოში (ნარკვევი), № 8.
**ს. ბეჩოელი** — „ბატალიონი“ მზად არის (ნარკვევი), № 4.
**შ. მახარაძე** — ერთობიან, სწავლობენ (წერილი), № 4.
**მ. ხერგიანი** — სიცოცხლის მწვანე ობელისკები (ნარკვევი), № 5.
**ნ ო რ ჩ ი ტ ა ლ ა ნ ტ ე ბ ი ს ზ ე ი მ ი** (წერილი საქართველოს მოსწავლეთა VI რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე), № 6.
**ა. ქასრაძე** — „გაზაფხული“ ათი წლისაა (წერილი), № 6.
**ე. სახვაძე** — ვიეტნამელ თანატოლებს (ნარკვევი), № 7; ყველაზე ლამაზი დღე (ნარკვევი), № 10.
**ქ. ჭილაშვილი** — ანძაზე ფრიალებს ალამი (ნარკვევი), № 8.
**ა. ხომერიკი** — ლეგენდარული გმირის ნაკვალევზე (ნარკვევი), № 9.
**დ. გოზალიშვილი, ნ. ჭუმბურიძე** — მწვერვალი — „კომკავშირი 50“ (ფოტორეპორტაჟი), № 10.
**ნ. მგელაძე** — სიტყვა, საქმით დამშვენებული (ნარკვევი), № 11.
**თ. ცაგარელი** — იქ, სადაც თერგი გრიალებს (ნარკვევი), № 12.

## ს ა უ ბ რ ე ბ ი კ ო მ კ ა ვ შ ი რ ზ ე

**ვ. ქარუმიძე** — დაბადება (წერილი), № 5.
**ა. იმედაშვილი** — საქართველოს კომკავშირი აღდგენით პერიოდში (წერილი), № 6.
**შ. თეთვაძე** — კომკავშირი სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში (წერილი), № 7; კომკავშირი სამამულო ომის წლებში (წერილი), № 8; კომკავშირი ომის შემდგომ პერიოდში (წერილი), № 9.
**რ. მეტრეველი** — იუბილარი — ლენინური კომკავშირი (წერილი), № 10.
**ვ. ი. ლენინი** — ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები (ნაწყვეტი რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვიდან), № 10.



### კ ო ს მ ო ს უ რ ი დ ა ჯ ა ხ ე ბ ა

მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ პლანეტა ნეპტუნის ერთ-ერთი თანამგზავრი — ტრიტონი — მომავალში ნეპტუნზე უნდა დაეცეს, ანდა წვრილ ნაწილაკებად უნდა იქცეს, რომლებისაგანაც ისეთივე რგოლი წარმოიშობა, როგორიც სატურნს აქვს. ტრიტონი ჩვენი მზის სისტემის ყველაზე დიდი თანამგზავრების რიცხვს ეკუთვნის: იგი, იუპიტერის თანამგზავრ განიმედისა და სატურნის თანამგზავრ ტიტანის მსგავსად, თითქმის ორჯერ დიდია მთვარეზე. ფიქრობენ, რომ ტრიტონი ძირითადად გაყინული გაზებისაგან შედგება. ნეპტუნზე მის დაცემას არ უნდა მოჰყვეს ამ პლანეტისათვის კატასტროფული შედეგები, რადგან ნეპტუნის მასა საკმაოდ დიდია — დედამიწის მასას 18-ჯერ აღემატება. ნეპტუნისა და ტრიტონის დაჯახება „მალე“ უნდა მოხდეს: 100 მილიონი, ან დიდი-დიდი, ერთი მილიარდი წლის შემდეგ.

### ყ ვ ე ლ ა ზ ე პ ა წ ა წ ი ნ ა ვ ი ო ლ ი ნ ო

დრეზდენის მუზეუმში ინახება ვიოლინო, რომელიც თავისუფლად ეტევა ხელისგულზე. ამ ვიოლინოს დაკვრა ისევე შეიძლება, როგორც სხვა, ჩვეულებრივი ვიოლინოსი.

### ქ ვ ე მ ე ხ ი ჭ ი ლ ყ ვ ა ვ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ

საგაზაფხულო თესვის დროს ჭილყვავებს ერთი წუთითაც არა აქვთ მოსვენება: დასეირნობენ და დასეირნობენ ნახნავებში! ხომ არა გგონიათ, ჭიაღუას ეძებდნენ? თქვენც არ მომიკვდეთ! ეს დაუპატიჟებელი სტუმრები მიწაში მიმობნეულ თესლს კენ-



კავენ, რითაც სოფლის მეურნეობას დიდ ზარალს აყენებენ.

ამ დროს ჭილყვავებს ვერავითარი საფრთხობელით ვერ შეაშინებ. საჭირო გახდა მათ წინააღმდეგ ერთგვარი ქვემეხის გამოგონება. და აი, გდრ-ს ინჟინრებმა შექმნეს ქვემეხი-საფრთხობელა. იგი სულ ხუთ კილოგრამს იწონის. გაიგონებენ თუ არა ქვემეხის ხმას, ჭილყვავები მაშინვე გაეცლებიან ხოლმე იქაურობას.

### რ ვ ა ფ ე ხ ა ს თ ვ ა ლ ე ბ ი

რვაფეხას საოცარი თვალები აქვს: ერთი თვალი დიდია, მეორე — პატარა. დიდი თვალით ზღვის სიღრმეში იყურება, პატარით კი — წყლის ზედაპირისკენ. ამიტომაც არის, რომ რვაფეხას, ამ დიდტანიან მოლუსკს, იშვიათად გამოეპარება მსხვერპლი.

### ც ხ ვ ა რ ი დ ა ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი კ ბ ი ლ ე ბ ი

სამხრეთ ავსტრალიის მწირ საძოვრებზე ცხვარი იძულებულია ბალახი ზედ ფესვებთან მოწიწკნოს. ამ დროს მის პირში, ბალახთან ერთად, სილაც ხვდება. სილა კი კბილებს მალე აფუჭებს, რის შედეგადაც ცხვარს ძოვა უჭირს და იმშევა. ავსტრალიელმა ზოოტექნიკოსებმა ამ სავალალო ამბავზე ბევრი იფიქრეს და ბოლოს ასეთი აზრი გამოთქვეს: ცხვრებს ხელოვნური ყბები ჩავუსვათო. ცდებით გამოირკვა, რომ უჟანგავი ფოლადისკბილებიანი ცხვრები თავს შესანიშნავად გრძნობენ.

### ს ა ვ ა რ ძ ე ლ ი-„მ ე დ დ ა“

ავადმყოფი ექიმთან რომ მიდის, მედდა მას სიცხეს, მაჯისცემას, სისხლის წნევას უსინჯავს, სუნთქვის სიხშირეს უმოწმებს.

ამას წინათ ერთ-ერთ ამერიკულ კლინიკაში გამოსცადეს სავარძელი-„მედდა“. ავადმყოფი სავარძელში მოხერხებულად ჯდება, თვითმწერი მოწყობილობა კი ექიმისთვის დაწვრილებით აღწერს პაციენტის საერთო მდგომარეობას.



პ. შამათავა — მათ ახახლეს მშობელი ერი (ნარკვევი), № 10.
მ. ბახტაძე — საქართველოს კომკავშირის პირველი „ლეგალური" ყრილობა (დელეგატის მოგონება), № 10.
ვ. ნადარეიშვილი — ქარიშხლიანი წლების მოგონებებიდან (მოგონება), № 10.

## ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, ისტორია, ტექნიკა, სპორტი

გ. ალიბეგაშვილი — შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპის ქანდაკება (წერილი), № 1; როდენი და მაიოლი (წერილი), № 5; როგორ უნდა გავიგოთ ხელოვნების ნაწარმოები (წერილი), № 9.
ბ. ძორძია — „ნაკადულიც", „ცისკარიც" და სხვა მრავალიც (ნარკვევი), № 1.
მ. გოლოვასტიკოვი — ბრძოლებში შობილი (წერილი), № 2.
გ. ივანოვი — წითელდროშოვანი (წერილი), № 2.
ს. ხუციშვილი — შიო არაგვისპირელი (წერილი), № 2.
ნ. ალადაშვილი — შუასაუკუნეების ქართული ქანდაკება (წერილი), № 2; საბჭოთა ქანდაკება (წერილი), № 7; ქართული ქანდაკება (წერილი), № 8.
გ. გვეტაძე — ქართველი ხალხის დიდი მეგობარი (წერილი), № 8.
მ. გორკი — ცხოვრების ზღაპარი (წერილი), № 8.
პ. მაჩაბელი — რენესანსის ქანდაკება (წერილი), № 8; საფრანგეთის რევოლუციის და იმპერიის ქანდაკება (წერილი), № 4.
მ. შაგინიანი — ისტორიის საგამოცდო ბილეთი (ნარკვევი), № 4.
ვ. სიდამონიძე — გელა ნათელაშვილი (წერილი), № 4; გიგლა ბიჭის ამბავი (წერილი), № 11.
სახელი და საქმე მისი მარად იცოცხლებს (კ. მარქსის დაბადების 150-ე წლისთავი).
ვ. ლიბკნეხტი — მარქსი მუშაობის დროს; მარქსი და ბავშვები (მოგონებანი), № 5.
დ. ბებეშიძე — როგორ იბადებიან და კვდებიან ღმერთები (წერილი), № 5.
ა. ვოლსკაია — XVIII—XIX საუკუნეების რუსული ქანდაკება (წერილი), № 6.
ნ. კეცხოველი — იკითხეთ ბუნების წიგნი (წერილი), № 6.
მ. კუტუზიძე — ჩვენი ფრთოსანი მეგობრები (წერილი), № 6.
ი. ბამრეკელი — სოლიდარობა, მეგობრობა, მშვიდობა (წერილი), № 7.
მ. ხერგიანი — ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღალია (ნარკვევი), № 8.
ვ. კაჭახიძე — ორი პოეტის მეგობრობის ფურცლები (წერილი) № 8.
ნ. ნახუცრიშვილი — საქართველოში გავრცელებული სოკოები (წერილი), № 8.
ნ. ასათიანი — ქართული კულტურის დიდი კერა (წერილი), № 9.
გ. ჯიბლაძე — გენიოსი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი (წერილი), № 9.
ნ. კისელევი — როცა ოლიმპიური ჩირაღდანი აინთება (წერილი), № 9.
ნ. კიკნაძე — კერამიკა (წერილი), № 11. ქართული საბჭოთა კერამიკა (წერილი), № 12.
ე. ამბოკაძე — დიდი გზის სათავესთან (წერილი), № 11.
ა. კოზლოვი — კოპაკაბანა — ჩემი სტადიონი (წერილი), № 11.
რ. ელანიძე — აკვარიუმი (წერილი), № 11.
გ. ენუქიძე — როგორ იზამთრებენ ტყის ცხოველები (წერილი), № 12.
ვ. ნიკოლაიშვილი — სიცილის დიდოსტატი (წერილი), № 12.
დ. ხახუტაშვილი — ხატოვანი დამწერლობიდან ასო-ბგერით დამწერლობამდე (წერილი), № 12.
მ. ვადბოლსკი — ხელმოწერაც უნდა შევისწავლოთ (წერილი), № 12.

## „ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო..."

გ. ახვლედიანი, № 1.
ლ. გუდიაშვილი, № 1.
დ. შენგელია, № 3.
კ. ერისთავი, № 3.
ე. კობერიძე, № 5.
ნ. ჯორჯიკია, № 12.

## განყოფილებები:

იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს? — № 2, 5, 8, 12.
ახალი წიგნები — № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
ოქროს საწმისი — № 1, 3, 6, 7.
გამოგადგება — № 1, 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 11, 12.
იუმორი — № 1, 2, 7, 8, 11.
ბუნების კარი — № 1, 2, 4, 5, 7, 11, 12.
თავშესაქცევი — № 1, 2, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
დამწყები კოლექციონერის დასახმარებლად — № 4, 5, 6, 7.
მოსწავლეთა შემოქმედება — № 6.
საინტერესო თემაზე — № 6, 9, 12.
კითხვა-პასუხი — № 7, 12.

გარეკანის პირველ გვერდზე — ქართული ხალხური ზღაპრის — „ოცი ძმის" ილუსტრაცია. მხატვარი ზ. ფორჩხიძე.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაგელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ ხამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-94-88 პ/მგ. მდივნისა და მხატვარ.-რედაქტ.—93-94-87 განყოფილებების—93-94-29

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, ул. Ленина, 14.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00927 ტირ. 67.750. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 20/XI-68 წ. სტამბის შეკვ. 3950.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტყის თრითინა



ჯეირანი



ტყის კატა



მაჩვი

წყლის ღამურა.



კურდღელი



კავკასიური ციყვი



ИНДЕКС 76157



დათვი



ტურა



ფოცხვერი



ხალიანი ირემი



მგელი



მელა